[illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
24 მაისი
1940 წ.
№ 118 (5819)
ფასი 10 კაპ.

F75 N165

დღეს თბილისში, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე, შესდგება ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელთა გრანდიოზული პარადი. ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტები გვიჩვენებენ თავის მზადყოფნას შრომისა და თავდაცვისათვის, თავის მაღალ სპორტულ ტექნიკას, თავის უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი.

ბოლშევიკური სალამი საქართველოს ფიზკულტურელებს!

დღეს ორდენოსანი საქართველოს ბედნიერი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა მრავალრიცხოვანი კოლონებით გაივლის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** სახელობის მოედანზე. ეს იქნება ორდენოსანი საქართველოს ახალგაზრდობის აყვავებული სიჭაბუკის, სიძლიერის და სიხარულის საუცხოო დემონსტრაცია. სპორტსმენთა მრავალათასიანი არმია გვიჩვენებს დარაზმულობას, უსაზღვრო სიყვარულს და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი — საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

საბჭოთა კავშირში ფიზიკური კულტურა პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ ითვლება. პარტია, მთავრობა და დიდი **სტალინი** ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელი მოსახლეობის გაჯანსაღებაზე. მთავრობა დიდძალ თანხებს ხარჯავს ფიზკულტურული სტადიონებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა აშენებაზე.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება ფიზკულტურული მოძრაობა. საქართველოს ფიზკულტურელები ეუფლებიან სპორტის ტექნიკის მაღალ საფეხურებს და სწრაფად მიდიან წინ მსოფლიო რეკორდების მოპოვებისათვის.

სტალინური მზით გამთბარი საქართველოს ფიზკულტურელთა შორის აღიზარდნენ სპორტის ცნობილი ოსტატები. მსოფლიო რეკორდის დამყარებით გაითქვეს სახელი მძლეოსანმა ქალმა ნინო დუმბაძემ, შტანგის მსოფლიო რეკორდსმენმა კასიანიძემ. საყოველთაოდ ცნობილნი არიან ტანთვარჯიშობისა და სპორტის სხვა დარგის ოსტატები: შ. ჯორჯაძე, თაყაიშვილი, ბაბილოძე, რცხილაძე, ათანელოვი, ნავასარდოვი; ფეხბურთელები — შავგულიძე, პაიჭაძე, ფროლოვი და ჯეჯელავა. ათასობითა და ათიათასობით კოლმეურნე ფიზკულტურელები ეუფლებიან საბჭოთა სპორტის ტექნიკას.

დიდია და უთვალავი ჩვენი მიღწევები ფიზკულტურის დარგში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ თვითდამშვიდებას მივცეთ თავი. საქმით, ყოველდღიურათ უნდა გავამართლოთ ის ნდობა და ყურადღება, რომელსაც ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტია უთმობს ფიზკულტურულ მუშაობას. საბჭოთა სპორტსმენების მრავალმილიონიანი არმია, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მშობლიური წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რეზერვია. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი ერთი წამითაც არ უნდა დავივიწყოთ. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ წითელ ჯარში გასაწვევი ახალგაზრდების მკერდს ამშვენებდეს ნიშანი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა სპორტის გასამხედროებულ სახეთა ხაზით. ჩვენი ქვეყნის მგზნებარე ახალგაზრდა პატრიოტები მასობრივად უნდა ჩაებან ტანთვარჯიშობის, მძლეოსნობის, წყალჯომარდობის სექციების მუშაობაში. კარგად უნდა დაეუფლონ სამთო-სათხილამურო, საცხენოსნო, ავტო-მოტო სპორტს, ზედმიწევნით შეისწავლონ ხელჩართული ბრძოლა, ნიშანში სროლა, ფარიკაობა, ჭიდაობა, ყუმბარების ტყორცნა და სხვ. ცნობილია, რომ ზოგიერთი ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტის გასამხედროებულ სახეებს ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ნაკლებად ზრუნავენ ნიშნოსნების მომზადებაზე.

ჩვენ სინამდვილეში, სამწუხაროდ, ვხვდებით ისეთ ფაქტებსაც, როდესაც ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია და ცალკეული კომკავშირელები გვერდს უვლიან ფიზკულტურულ მუშაობას, მაშინ, როდესაც ფიზკულტურული მუშაობა კომკავშირის სისხლხორცეულ საქმეს წარმოადგენს. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა გარდაქმნან მუშაობა, რომ კომკავშირელები არამც თუ დარჩნენ ფიზკულტურული მუშაობის გარეშე, არამედ ყოველთვის იყვნენ და ვინც არ არიან, ნამდვილად გახდნენ ფიზკულტურული ორგანიზაციების მოწინავე აქტივისტები.

ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა შექმნა და უძლეველი გახადა სახელოვანი წითელი არმია და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის საპატიო მოვალეობაა იყოს წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში. უფრო სასახელოა იყო პოლიტიკურად და ფიზიკურად მომზადებული მებრძოლი. ასეთი ტიპის მეომრები სხვაზე ადრე გადასწყვეტენ რთულ სამხედრო ამოცანას.

საბჭოთა ახალგაზრდობას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ გმირი წითელარმიელები და მათი მეთაურები სისტემატურად ვარჯიშობენ ფიზკულტურის სხვადასხვა დარგში, რაც დიდად ეხმარება მათ საბრძოლო-ტაქტიკური ამოცანების სწრაფად და ოპერატიულად გადაწყვეტაში.

ხასანის ტბასთან, ხალხინ გოლთან, დასავლეთ უკრაინაში და დასავლეთ ბელორუსიაში, ფინეთის თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები სიმამაცისა და გმირობის იშვიათ ნიმუშებს გვიჩვენებდნენ.

— „ერთი ღამის განმავლობაში, — იგონებს გმირი ლეიტენანტი ხრისტოლიუბოვი, — ტყვიის ხუთი ჭრილობა მივიღე. სხეული სისხლით შეიღება, საშინელ ტკივილებს განვიცდიდი, მაგრამ ბრძოლის ველი არ დამიტოვებია“. აი, როგორი უნდა იყოს გმირი მებრძოლის გამბედაობა და ამტანიანობა, — რომელიც მისაბაძია ყველა საბჭოთა ახალგაზრდისათვის.

ბოლშევიკური პარტიის, ჩვენი სახელოვანი მთავრობისა და დიდი **სტალინის** ყოველდღიური ზრუნვა ფიზკულტურის დარგის მუშაკებს ავალებს უფრო მეტი გაქანებით და ენტუზიაზმით იმუშაონ საყვარელი სამშობლოს და დიდი **სტალინის** სასახელოდ.

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმია, რომელიც აღზრდილია ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მიერ, უსაზღვროდ ერთგულია **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისა. იბრძვიან რა შრომისა და სპორტული ღირსებისათვის, ფიზკულტურელნი ყოველწუთს მზად არიან ჩადგნენ ჩვენი მშობლიური წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში, მკერდით დაიცვან სოციალისტური სამშობლოს წმინდათაწმინდა საზღვრები.

ბოლშევიკური სალამი საქართველოს ფიზკულტურელებს, ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებს!

არტეკის 15 წლისთავი

სიმფეროპოლი, აიუ - დაღის ძირში, მზიურ ყირიმის შესანიშნავ კუთხეში მდებარეობს არტეკის სასახლეები და ვილები. სრულიად-საკავშირო პიონერულ ბანაკს წელს 15 წელი უსრულდება.

1925 წელს ბრეზენტის ოთხ კარავში მოთავსდა ბავშვების პირველი ჯგუფი. 1939 წელს ქვედა ბანაკში, ზედა ბანაკში და სუუკ-სუში 5 ათასი ბავშვი ისვენებდა. აქ შეგიძლიათ შეხვდეთ საბჭოთა საზღვრების ახალგაზრდა გმირებს, საკოლმეურნეო მინდვრების გმირებს, ნიჭიერ ავიომოდელისტებს, ვიოლინოზე დამკვრელებს, მხატვრებს, მოცეკვავეებს, სწავლის ფრიადოსნებს. ბანაკში 15 წლის განმავლობაში 35 ათასზე მეტი ბავშვი ისვენებდა. (საკდესი).

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. **ფ. ვ. სერგეევის** თავმჯდომარეობით და ამხ. **მ. ი. სალტიკოვის** (სახკომის პირველი მოადგილე), **ტ. ფ. ტრუდოვის** (სახკომის მოადგილე), **ე. ი. ლოპუხოვის** (სახკომის მოადგილე), **ა. ი. ბოვინის** (სახკომის მოადგილე), **ვ. ი. კოლდანოვის, გ. ე. კოფტოვის, ტ. კ. პეტროვისა** და **ნ. ი. პოპოვის** შემადგენლობით.

ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები (მარცხნიდან)—პირველ რიგში: ძ. ესაკია, ქ. აფრიდონიძე, ვ. ჩიკაშვილი; მეორე რიგში: ჟ. ოგანეზოვა და შ. სოკოლოვა.

ფოტო რ. აკოფოვისა.

საარჩევნო კამპანია კარელია-ფინეთის რესპუბლიკაში

ტოივო ანტიკაინენი თავის ამომრჩევლებთან

უხტა, 22 მაისი (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტოივო ანტიკაინენი. რაიონული ცენტრის მშრომელებმა გულმხურვალე შეხვედრა მოუწყეს მას. პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის შენობასთან მოვიდნენ მუშების, მოსამსახურეების, მოწაფეების, კოლმეურნეებისა და მესაზღვრეთა დელეგაციები. ყველგან დროშები, პლაკატები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები გამოუფენიათ. შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა ტოივო ანტიკაინენმა. მან მადლობა გადაუხადა კემის სასოფლო საარჩევნო ოლქის მშრომელთ იმ ნდობისათვის, რაც მას გამოუცხადეს. მისი სიტყვა არა ერთხელ შესწყვიტეს მქუხარე ტაშით.

მიტინგზე ილაპარაკა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. მაქსიმოვმა, რომელმაც ამომრჩევლებს მოუწოდა ერთსულოვნად მისცენ თავიანთი ხმები კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამურის წითელდროშოვანი ფლოტილიის 20 წლისთავი

ამურის წითელდროშოვანი ფლოტილია. 22 მაისი (საკდესი). 24 მაისს აღნიშნული იქნება ამურის წითელდროშოვანი ფლოტილიის 20 წლისთავი. ამურელები ორი ათეული წლის განმავლობაში სახელოვნად ასრულებენ საბრძოლო ვახტს ჩვენი სამშობლოს შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრებზე. ფლოტილია მრისხანე საბრძოლო ძალა გახდა. ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მან არა მარტო მოახდინა ძველი ხომალდების რეკონსტრუქცია, არამედ მას მრავლად შეემატა მოწინავე სამხედრო ტექნიკით შეჭურვილი ახალი საბრძოლო ერთეულები.

ემზადებოდა რა ფლოტილიის 20 წლისთავისათვის, პირადმა შემადგენლობამ ვადამდე დაამთავრა გემების შეკეთება საზაფხულო კამპანიისათვის. პირველი ნაოსნობა გემებმა დაიწყეს ყინულების ამოძრავებასთან ერთად, როცა ამურზე ჯერ კიდევ არცერთი სატრანსპორტო გემი არ იყო. ამურის წითელდროშოვანი ფლოტილიის მეთაურებმა და შტურმანებმა დაგვანახვეს, რომ ისინი კარგად არიან დაუფლებული გემის ტარების ტექნიკას, კარგად იცნობენ ნაოსნობის რაიონს.

გამრავლდა გემების ტარებისა და ცეცხლის ფრიადოსან ოსტატთა რიცხვი. მრავალი მათგანი დაჯილდოებულია ნიშნით „სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრიადოსანი“.

20 წლისთავის წინ წითელფლოტელები სიყვარულით ამშვენებენ ლენინის კაიუტებს, აწყობენ გამოფენებს, რომლებიც ასახავენ ამურის წითელდროშოვანი ფლოტილიის საბრძოლო გზას.

დღესასწაულის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მეთაურთა ცოლები. ისინი მონაწილეობას იღებენ წითელფლოტელთა მხატვრულ თვითმოქმედებაში.

ხაბაროვსკისა და ამ მხარის სხვა ქალაქების საწარმოებში ტარდება ფლოტილიისადმი მიძღვნილი მოხსენებები. მეთაურები და პოლიტმუშაკები უამბობენ მშრომელებს ამურელების საბრძოლო კავშირის შესახებ.

პ ა ვ ი ლ ი ო ნ ი „პ რ ე ს ა“

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონ „პრესაში“ ერთმანეთს შეხვდნენ გამოფენის ექსპონენტები—ალტაის მხარის გაზეთ „ალტაის პრავდის“, კრასნოიარსკის მხარის გაზეთ „კრასნოიარსკის კრაის“, საქართველოს რესპუბლიკური გაზეთების — „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ მუშაკები და რაიონული გაზეთების რედაქტორთა ერთი ჯგუფი. თათბირმა მოისმინა გაზეთ „ალტაის პრავდის“ რედაქციის წარმომადგენლის ამხ. რაპოპორტის მოხსენება. მან თათბირს უამბო, თუ როგორ მოაწყო გაზეთმა თავის ფურცლებზე სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ეფრემოველთა დაუსწრებელი სკოლა და კონკურსი ხალხური ფოლკლორის შეგროვებაზე. გაზეთ „კრასნოიარსკი რაბოჩის“ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ ამხ. გუსაროვმა თათბირს გააცნო თავისი მუშაობის გამოცდილება. „კრასნოიარსკი რაბოჩიმ“ გამოაქვეყნა ეფრემოვისა და სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეთა 14 ლექციაზე მეტი.

პავილიონის დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობენ გაზეთ „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ ალბომები და ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი ნომრები. (საკდესი).

კოლმეურნეები მოსკოვიდან დაბრუნდნენ

გუშინ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და ექსკურსანტთა პირველი ჯგუფი 54 კაცის შემადგენლობით. ამ ჯგუფში, რომელიც 15 მაისს მონაწილეობას იღებდა გამოფენის გახსნაში, შედიოდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ლეკიშვილი, თბილისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შარიქაძე და თბილისის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკები: კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, ტრაქტორისტები, მწველავები, რიგითი კოლმეურნეები და სხვ.

მათი უმრავლესობა პირველად იყო მოსკოვში. ისინი აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ გამოფენისა და ქალაქ მოსკოვის დათვალიერებით მიღებულ დაუვიწყარ შთაბეჭდილებებზე. გამოფენიდან დაბრუნებულ კოლმეურნეებს უბის წიგნაკები სავსე აქვთ ძვირფასი ჩანაწერებით, რომლებიც შეიცავენ გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებას. თბილისის რკინიგზის სადგურის მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს გამოფენიდან დაბრუნებულმა კოლმეურნეებმა, გაიმართა საქმიანი მსჯელობა და საუბარი იმაზე, თუ როგორ სწრაფად უნდა იქნას გამოყენებული და დანერგილი გამოფენაზე მიღებული გამოცდილება ცალკეულ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში.

ავჭალის **ლ. ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვარდანაშვილმა განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს გამოფენის მონაწილე მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების მიხედვით დაჩქარებით მოაწყოს თავის კოლმეურნეობაში ქოხ-ლაბორატორია და სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მემინდვრეობისა და სხვა კულტურათა დარგში ცდების დაყენებას.

დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მარიამულს გადაწყვეტილი აქვს გამოფენაზე მიღებული გამოცდილების მიხედვით თავის კოლმეურნეობაში შემოდგომიდანვე მოაწყოს მრავალწლიანი ხორბლის საცდელი ნაკვეთი, შემოიტანოს ყინვის გამძლე ხილის ჯიშები, მაღალმოსავლიანი კომბოსტო და სხვ.

სოფ. დიღმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. თოფჩიშვილმა განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ხელი მოჰკიდოს სუფრის ჯიშის ყურძნის მოყვანას. ასეთივე ძვირფას წინადადებებს აყენებენ სხვა კოლმეურნეებიც.

რაიონის კოლმეურნეობათა გამგეობებს განზრახული აქვთ საერთო კრებებზე მოისმინონ გამოფენიდან დაბრუნებულ კოლმეურნეთა ანგარიშები, შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებათა გამოყენებისათვის.

ფრანგული პრესა საომარი მოქმედების შესახებ ჩრდილოეთ საფრანგეთში

პარიზი, 23 მაისი (საკდესი). პარიზის გუშინდელი პრესა საომარი მოქმედების მიმოხილვებში იუწყებოდა, რომ გერმანიის ჯარი ლა-მანშის სანაპიროს აღწევს.

პერტინაკსი ამის გამო გაზეთ „ეპოქში“ სწერს: „გერმანელები ლა-მანშს მიადგნენ. ჩვენი ქვეყანა ორი წლის განმავლობაში ხედავდა, რომ ომი უაღრესი სისწრაფით ახლოვდებოდა. ომის დაწყებიდან ჩვენ კიდევ გვქონდა რვა მშვიდობიანი თვე (1939 წლის სექტემბრიდან 1940 წლის მაისამდე) სიმაგრეთა შესავსებად და თავდაცვის გასაუმჯობესებლად. ოდესმე ჩვენ მოვითხოვთ აგვიხსნან, როგორ მოხდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ საშუალება მისცა მტერს ორ კვირაზე ნაკლებში განმავლობაში შესეოდა მას“.

ფრანგული გაზეთების სამხედრო მიმომხილველები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გერმანელები განაგრძობენ შეტევას ჯავშანსატანკო და მოტორიზებული ნაწილების დახმარებით. როგორც გაზეთ „პტი პარიზიენის“ სამხედრო მიმომხილველი სწერს, უკვე აღარ არსებობს ფრონტი შესაძლებელი ფართო ბრძოლისათვის. არის მხოლოდ ნაწილების საერთო და გამუდმებული აღრევა და ზურგის დეზორგანიზაცია.

ამერიკის სამხედრო გემები ევროპაში მიემგზავრებიან

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, მომავალ კვირას პორტუგალიაში უნდა ჩამოვიდეს ამერიკის კიდევ რამდენიმე სამხედრო გემი. არსებული ცნობების თანახმად, ეს გემები შესცვლიან ამერიკის იმ გემებს, რომლებიც ამჟამად პორტუგალიაში იმყოფებიან. ფიქრობენ, რომ გემების ორივე ჯგუფი რამდენიმე კვირის განმავლობაში დარჩება პორტუგალიის წყლებში.

სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრომ უარი განაცხადა კომენტარიები გაეკეთებინა ცნობისათვის იმის შესახებ, რომ ახლო მომავალში ამერიკის ახალი სამხედრო გემები გაიგზავნება პორტუგალიაში.

უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ბერლინი, 23 მაისი (საკდესი). გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია: „ჩვენი ჯარი, რომელიც ფლანდრიაში შელდის იქით უტევს, ხვდება რა მტრის ძლიერ წინააღმდეგობას, ნელა იპყრობს ტერიტორიას. ბრძოლა ჯერ კიდევ ვალანსიენის მახლობლად სწარმოებს. მორმალის ახლო მდებარე ტყიანი ადგილი, ვალანსიენის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გაწმენდილია საფრანგეთის ჯარისაგან, რომელიც იქ თავს აფარებდა. გუშინ სახმელეთო ჯარისა და ავიაციის შეთანხმებული მოქმედებით ჩაშლილ იქნა მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ნაწილების ცდები—გაერღვია ფრონტი კამბრეს მახლობლად, ამასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. არტუას დასავლეთ ნაწილში (პა-დე-კალეს დეპარტამენტი) გერმანიის ჯარი მიიწევს ჩრდილოეთისაკენ, პა-დე-კალეს მიმართულებით. სომიდან მაასამდე არსებული ფრონტის მანძილზე მტერი წინააღმდეგობას გვიწევს. ლიეჟის სიმაგრეში ჩვენს ჯარს დანებდა ამ ცოტა ხნის წინათ აგებული ფორტი „ბატისი“, ამასთან ტყვედ ჩავიგდეთ 20 ოფიცერი და 650 ჯარისკაცი. ნამიურის სამხრეთით არსებულ ფრონტზე მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ ინარჩუნებს ზოგიერთ სიმაგრეს.

გერმანიის ავიაციის იერიშები უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო მტრის კომუნიკაციებისა და უკანდახეული ჯარის წინააღმდეგ, აგრეთვე ზურგში, ფლანდრიასა და არტუაში თავმოყრილი ჯარის წინააღმდეგ“.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს თემთა პალატაში პრემიერმა ჩერჩილმა განაცხადა:

„გერმანიის ჯავშანსატანკო ნაწილები, რომლებმაც გაარღვიეს საფრანგეთის პოზიციები, შემოიჭრნენ მოკავშირეთა არმიების ზურგში, ბელგიაში, და ცდილობენ მოშალონ მათი კომუნიკაციები. აბვილი მოწინააღმდეგის ხელშია. მედგარი ბრძოლა ხდება ბულონში, აგრეთვე ქალაქის გარშემო. ძალიან ნაადრევია ლაპარაკი სანაპიროზე გაჩაღებული ბრძოლის შესაძლო შედეგების შესახებ. მაგრამ აშკარაა, რომ ამ ბრძოლას შეიძლება სერიოზული ხასიათის შედეგები მოჰყვეს.

ამჟამად მოკავშირეთა ყველა არმიის უმაღლეს სარდლობას გენერალი ვეიგანი ახორციელებს. ამ არმიების ოპერაციების მიზანია წინათ არსებული პოზიციების აღდგენა და განმტკიცება“.

უნგრული პრესა საფრანგეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბუდაპეშტი, 23 მაისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ პარიზში პანიკაა; მოსახლეობა სამხრეთისაკენ გარბის. ხელისუფალნი მშრომელთა წინააღმდეგ ახალ-ახალ რეპრესიებს მიმართავენ. პარიზის ბევრ რაიონში ხალხს მასობრივად აპატიმრებენ. ზოგიერთი საზოგადოებრივი შენობა გარშემორტყმულია პოლიციის მიერ. ყოველ მიმსვლელს სასტიკ კონტროლს უწევენ. გაძლიერდა პოლიციური ღონისძიებანი ლტოლვილთა მოზღვავების წინააღმდეგ. ლტოლვილნი ქუჩებში ატარებენ ღამეებს, მათ არ გააჩნიათ საბანი, ტანისამოსი და სურსათი.

გერმანელი გენერლის რაიჰენაუს განცხადება

სტოკჰოლმი, 23 მაისი (საკდესი). შვედური გაზეთის „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდას“ კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიის არმიის პირველი კორპუსის სარდალმა, გენერალმა რაიჰენაუმ უცხოელ კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა:

„პირველი ბრძოლები ჩვენ მოვიგეთ, მაგრამ მტრის მთავარ ძალებს ჯერ კიდევ არ შევხვედრივართ. ჩვენ მოველით, რომ დიდი ბრძოლები კიდევ გვექნება. ჩვენ მოვემზადეთ ამისათვის და დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლებს მოვიგებთ“. კითხვაზე ომის შემდგომი განვითარების პერსპექტივების შესახებ რაიჰენაუმ უპასუხა: „მე არ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, თუ რით გათავდება ომი. 4 წლის განმავლობაში ვმონაწილეობდი მსოფლიო ომში და მაშინაც არ მჯეროდა, რომ ზავი ისეთი იქნებოდა, როგორიც დაიდო.

რაიჰენაუ, როგორც მისი განცხადებიდან სჩანს, ცუდი აზრისაა ინგლისის ავიაციის შესახებ. გერმანიის თვითმფრინავები, — სთქვა მან, — ყოველდღე 200 კილომეტრით სცილდებიან ფრონტის ხაზს, მაშინ როცა ინგლისელთა არც ერთი საჰაერო თავდასხმა ასეთ სიშორეზე არ მომხდარა. „მაგრამ, — განაცხადა შემდეგ რაიჰენაუმ, — შესაძლებელია, რომ ინგლისელები თავიანთ თვითმფრინავებს გადამწყვეტი დარტყმისათვის ინახავენ“.

დასასრულ რაიჰენაუმ სთქვა: „უახლოეს დღეებში ჩვენი შეტევა უფრო ნელი იქნება, და ჩვენ მძიმე ბრძოლები მოგველის“.



თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანი.

БОЛЬШЕВИСТСКАЯ ПЕЧАТЬ
№ 9 1940

განვლილი გზა

გაზეთ „კომუნისტის" ოცი წელი

სრულდება ოცი წელი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის" დაარსების დღიდან.

„კომუნისტის" პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წლის 3 ივნისს, როდესაც საქართველოში ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ იყვნენ ქართველი ხალხის უბოროტესი მტრები—მენშევიკები.

არალეგალობის პირობებში „კომუნისტი" ააშკარავებდა მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას, მოუწოდებდა საქართველოს მუშებსა და გლეხებს კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

გაზეთი იბრძოდა ადგილობრივი ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისათვის.

როდესაც ქართველმა ხალხმა რუსი ხალხის დახმარებით თავის მიწა-წყალზე დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება, „კომუნისტი" პარტიის ხელმძღვანელობით ხელს უწყობს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას.

გაზეთის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება, რომელშიც დაგმობილი იყო საქართველოს და ამიერ-კავკასიის მაშინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომები, უმთავრესად გლეხობის საკითხში.

„კომუნისტმა", რომელსაც წარმართავდა განახლებული პარტიული ხელმძღვანელობა ამხ. **ლ. პ. ბერიას** მეთაურობით, დარაზმა მასები ამ დადგენილების შესასრულებლად, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის საბრძოლველად. იბრძოდა რა ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების, მეთამბაქოობის, მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა განვითარებისათვის, გაზეთმა შესძლო შემოეკრიბა თავის გარშემო სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი კადრები და მუშსოფლკორთა დიდი არმია.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში „კომუნისტმა" დიდი მუშაობა გასწია საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. კონკრეტულ მაგალითებზე გაზეთი უჩვენებდა კომუნისტების ავანგარდულ როლს წარმოებაში. სპეციალურ გვერდებზე ფართოდ იყო გაშუქებული აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, ლაგოდეხის, სიღნაღის, მახარაძისა და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა.

„კომუნისტი" სწერდა თბილისის ტრამვაის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკისა და ჭიათურის მაღაროების პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე, პარტიის რაიკომების ინსტრუქტორების, პარტკომების მდივნების, პარტჯგუფორგებისა და აგიტატორების მუშაობაზე. გამოცდილების გაზიარების წესით გაზეთმა მოათავსა გვერდი, მიძღვნილი ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებისადმი.

რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხების გაშუქებას, ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და დაწინაურებას. პარტიული თემატიკის გაშუქებაში მონაწილეობას იღებს 80-ზე მეტი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი.

წულუკიძის რაიონის ორი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მაგალითზე გაზეთმა გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ბრძოლა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის. ანალოგიური მასალა არაერთხელ დაიბეჭდა.

გაზეთმა დიდი დახმარება გაუწია პარტიის ისტორიის შემსწავლელთ. რედაქციამ შეაგროვა და დაამუშავა მდიდარი მასალა ამხანაგ **სტალინის** სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილების შესახებ.

სპეციალური გვერდები მიეძღვნა ამხანაგ **სტალინის** მუშაობას პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისათვის საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. 1939 წელს რედაქციამ გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები, ნარკვევები, ძველი მუშების მოგონებანი ამხანაგ **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ამ მასალების ნაწილი გამოცემულია ცალკე კრებულად.

პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის მაისის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე „კომუნისტი" ხელს უწყობს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ააშკარავებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებს, რაზმავს კოლმეურნეთა ფართო მასებს მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის საბრძოლველად. გაზეთი გამოვიდა როგორც ინიციატორი სოციალისტური შეჯიბრებისა კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეებს შორის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

ფართოდ აშუქებს რა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობას, „კომუნისტი" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილების პოპულარიზაციას.

რედაქციის ინიციატივით მახარაძის რაიონის სოფლების ჯუმათის, ნატანების, ნაგომარის, შემოქმედისა და ფამფალეთის კოლმეურნეებმა მიმართეს საქართველოს ჩაის რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოწოდებით ჩაბმულიყვნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაის მწვანე ფოთლის დროულად და უდანაკარგოდ კრეფისა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ეს ინიციატივა მოწონებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. მიმართვა საქართველოს სუბტროპიკული ზონის ყველა რაიონულმა გაზეთმა გადაბეჭდა. მახარაძელთა მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კოლმეურნეებში.

მოწინავე სოფლის მეურნეობისა და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების გაშუქება და პოპულარიზაცია გაზეთის ყურადღების ცენტრში დგას.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა უშა ახუბამ ჩაის ფოთლის კრეფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან დღეში მოჰკრიფა 340 კილოგრამი ჩაი, მაშინ როცა დღიური ნორმა 10 კილოგრამი იყო. იმავე რაიონის სოფელ ქოჩარის სტახანოველმა, ორდენოსანმა ცაცა ქარდავამ დღეში მოჰკრიფა 220 კილოგრამი, ხოლო გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა დუშა ქვაჩახიამ —240 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გასული წლის ივნისში რედაქციამ ჩაის პლანტაციებზე მოაწყო ჩაის კრეფის სახელოვან ოსტატთა შეხვედრა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან. ჩაის კრეფის ოსტატებმა უამბეს რუხელ კოლმეურნეებს, თუ როგორ მიაღწიეს მათ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. „კომუნისტმა" ამ შეხვედრას გვერდი უძღვნა და გამოვიდა მოწინავე სტატიით ჩაის კრეფის შესახებ.

ამ მასალების გამოქვეყნების მეორე დღეს **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობაში რედაქციის წინადადებით მოწვეულ იქნა საწარმოო თათბირები, რომლებზეც განხილულ იქნა ჩაის კრეფის ოსტატთა გამოცდილება. გაზეთის მასალებს კოლმეურნეები აგროწრეებში სწავლობდნენ. გამოცდილების გაზიარებამ კარგი შედეგები გამოიღო. თუ წინათ ამ კოლმეურნეობის სტახანოველი ქალები დღეში ჰკრეფდნენ არა უმეტეს 30 - 40 კილოგრამი ჩაისა, ახლა ბევრი მათგანი 150-180 კილოგრამს ჰკრეფს.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობდა აგრეთვე ჩაის მოსავლიანობის გადიდების ამოცანას. უკანასკნელ თვეებში მან მისცა მთელი რიგი სპეციალური გვერდები, რომლებშიც გააშუქა საქართველოს მოწინავე რაიონების წარმატებანი.

„კომუნისტის" ინიციატივით მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეებში სოფელ ნატანების **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მიმართეს მოძმე სომხეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეებს წერილით, რომელშიც უამბეს თავისი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. ამ წერილმა დასაწყისი მისცა ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეებს შორის მეგობრულ მიწერ-მოწერას.

განიხილა რა ნატანებელ კოლმეურნეთა წერილი, სომხეთის სს რესპუბლიკის ჰოკტემბერიანის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობამ **ბერიას** სახელობის კოლმეურნეობა გამოიწვია სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მოსავლისათვის. ეს გამოწვევა ერთსულოვნად იქნა მიღებული. „კომუნისტი" სისტემატურად ბეჭდავს მიწერ-მოწერას ამ კოლმეურნეობებს შორის, სწერს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ ისინი ნაკისრ ვალდებულებებს და რას მიაღწიეს მათ შეჯიბრების შედეგად.

იბრძოდა რა მოსავლიანობის გადიდებისათვის, გაზეთი ფართოდ ეწეოდა ეფრემოვული მოძრაობის პოპულარიზაციას და მთელი რიგი სტატიები და გვერდები უძღვნა ამ მოძრაობას.

ამხანაგ **სტალინის** მოწოდებამ კოლმეურნეობების ჭარბი მუშახელის მრეწველობაში გაგზავნის შესახებ უაღრესად ფართო გამოხმაურება გამოიწვია საქართველოს კოლმეურნეთა შორის.

„კომუნისტის" ინიციატივით მოეწყო სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში კოლმეურნეობებიდან მოსული მუშების კოლექტიური წერილი—მიმართვა იმავე რაიონის სოფელ იანეთის კოლმეურნეებისადმი.

წერილი განხილულ იქნა სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებში. შედეგად, მოკლე ვადაში კიდევ ასობით ადამიანები წავიდნენ ფაბრიკებში, ქარხნებში, ტრანსპორტზე, შახტებში.

„კომუნისტის" გვერდებზე დიდი ადგილი ეთმობა ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. რედაქციამ შესძლო დაერაზმა თავის გარშემო მხატვრული სიტყვის ოსტატები: მწერლები, პოეტები, სახალხო მთქმელები—ხელოვნების მუშაკები.

მოძმე საქართველოს რესპუბლიკის უძველესი გაზეთის კოლექტივმა ისე უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა, რომ შემდეგშიც იყოს პარტიის ნამდვილი თანაშემწე კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ვ. ბექერი

„ბოლშევისტსკაია პეჩატ" № 9, მაისი, 1940 წ.



სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საქართველოს სსრ პავილიონი.

ომი დასავლეთ ევროპაში

22 მაისის საომარი მოქმედების დღიური

ჩრდილოეთ საფრანგეთში გააფთრებული ბრძოლა გრძელდება სანაპიროს ხელში ჩასაგდებად. გერმანიის ჯარი, რომლის მოწინავე მოტორიზებული რაზმები სენ-კანტენის, ანიენის, აბვილის ხაზზე გამოვიდნენ, ლა-მანშის სანაპიროსაკენ განაგრძობდნენ წინსვლას. როგორც სჩანს, გერმანიის არმიის შემდგომი მოქმედების უახლოეს მიზანს წარმოადგენს მოკავშირეთა ჯარების ჯგუფის გარშემორტყმის დამთავრება და საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს მტკიცედ დაუფლება. ძირითადი ბრძოლა ხდებოდა არასისა და ვალანსიენის რაიონში. როგორც სჩანს, არასი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში და ამჟამად მისი მდგომარეობა გაურკვეველია. გერმანელთა შემდგომ შეტევას, რაც მათ სენ-პოლისა და მონტრელის მიმართულებით დაიწყეს, მოკავშირეთა ჯარები ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ. მოკავშირეთა ჯარის ნაწილები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ არასის, ვალანსიენისა და შელდის რაიონებში. 21 მაისის განმავლობაში მოკავშირეთა ჯარების ცალკეული ჯგუფები ცდილობდნენ გაერღვიათ რკალი არასზე და შემდეგ — სამხრეთისაკენ. გერმანიის ჯარი, რომელიც ლა-მანშის ნავსადგურებისაკენ მიიწევს, მოკავშირეთა ჯარის ნაწილების მედგარ წინააღმდეგობას წააწყდება. ჩრდილოეთ საფრანგეთში დაწყებული გააფთრებული ბრძოლა, ალბათ, უახლოეს დროშიც გაგრძელდება.

გაჩაღებულ ბრძოლაში ორივე მხარე წინანდებურად ფართოდ იყენებს ჯავშანსატანკო ძალებსა და ავიაციას. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ გერმანელებმა არასის რაიონში ინგლისის ჯავშანსატანკო ნაწილების წინააღმდეგ მოპიკირე ყუმბარმშენები გამოიყენეს. ბელგიის სიმაგრეები (ლიეჟი, ნამიური, ნეფშატო, რომელთა ცალკეული ფორტები დღემდეც წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანიის ჯარს) ამჟამად საბოლოოდ გადავიდა გერმანელთა ხელში. გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა სანავსადგურო ქალაქებს — ოსტენდეს, დიუნკერკს, კალეს, ბულონს; გერმანელთა ცნობების თანახმად, ამ ქალაქებში მოსპობილია მოკავშირეთა საბრძოლო ხომალდები და სავაჭრო გემები. გერმანიის თვითმფრინავებმა, რომლებიც მოკავშირეთა ჯარების კომუნიკაციების წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ყუმბარები დაუშინეს კომპიენისა და კრეის ვაგზლებს.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 23 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიუროს ცნობით, 10-დან 15 მაისამდე გერმანიის საზენიტო ქვემეხებმა ჩამოაგდეს მტრის 342 თვითმფრინავი.

როგორც საინფორმაციო ბიურო იუწყება, იმ რაიონებში, რომლებსაც მოკავშირეთა ჯარები სტოვებენ, ისინი სპობენ სურსათის მარაგს, სამრეწველო საწარმოებს, სამადნოებს, ქვანახშირის მაღაროებს.

მოკავშირეთა ცნობები

პარიზი, 23 მაისი (საკდესი). გუშინ საღამოს ოფიციალურად იუწყებოდნენ, რომ დღის განმავლობაში ბრძოლა გრძელდებოდა ჩრდილოეთ საფრანგეთში და ბელგიაში. დანარჩენ ფრონტზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს: „ის გარემოება, რომ საფრანგეთის ჯარმა არასი დაიპყრო გერმანიის ჯარის ნაწილების მიერ მისი დაკავებიდან 24 საათის შემდეგ, მოწმობს საომარი ოპერაციების სისწრაფეს ჩრდილოეთ საფრანგეთში. საფრანგეთის ჯარი იმყოფება ამიენის მახლობლად, სადაც, როგორც ეტყობა, არის გერმანიის მხოლოდ მსუბუქი მოტორიზებული ჯარი".

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, დასავლეთის ფრონტზე შექმნილი ვითარება უფრო სერიოზულია, ვიდრე პირველი მსოფლიო ომის დროს როდისმე ყოფილა. ამასთან ერთად ფიქრობენ, რომ გუშინ, წინა დღესთან შედარებით, მოკავშირეთა მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. არასის დაპყრობა, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნიშანი მოწმობს, რომ მოკავშირეთა ჯარები კონტრშეტევებზე გადავიდნენ.

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ ინგლისის ჯარი ყველგან ინარჩუნებდა თავის პოზიციებს. იგი კონტრშეტევებზე [illegible] არასის და [illegible] ჯარმა წარმატებით მიიტანა იერიში გერმანიის ჯარის იმ ნაწილებზე, რომლებმაც ორ ადგილას გადალახეს მდინარე შელდა.

პარიზიდან მიღებული ცნობებით, გუშინ კამბრესა და ვალანსიენს შორის მომხდარი ბრძოლის დროს ინგლისის ჯარმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა გერმანიის ჯარის ნაწილების ფლანგს კამბრეს მახლობლად. ფრანგები ამიენს უახლოვდებიან. ფრანგთა მნიშვნელოვანი ძალები, რომლებიც თავმოყრილი არიან სომისა და ენის გასწვრივ, გუშინ მტკიცედ ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს.

პარიზი, 23 მაისი (საკდესი). ოფიციალურ ცნობაში, რომელიც ჰავასის სააგენტომ დღეს დილით გამოაქვეყნა, ნათქვამია: „ჩრდილოეთ საფრანგეთში სასტიკი ბრძოლა გრძელდება. დასტურდება, რომ საფრანგეთის ჯარმა წინ წაიწია კამბრემდე. ფრონტის ზოგიერთ უბანში გააფთრებული საარტილერიო სროლაა, კერძოდ ატინიისა და ლონგვიუის რაიონში და მდინარე ნიდის ჩრდილოეთით".

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის სარდლობის შემდეგ კომუნიკეს: „გერმანიის ჯარმა უშედეგოდ მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე მდინარე შელდის მრავალ პუნქტში. ოდენარდის რაიონში მან ვერ შესძლო მდინარის გადალახვა. არასის სექტორში გერმანელთა გააფთრებული იერიშების მიუხედავად, ჩვენი ჯარი მტკიცედ ინარჩუნებს თავის პოზიციებს არასსა და ბაპონს შორის გერმანელთა მიერ გარღვეული ადგილის მარჯვენა ფლანგზე. მაინც, სამხრეთით სანაპიროსაკენ გაიჭრნენ მოწინააღმდეგის ჯერ ცალკეული ჯავშნიანი რაზმები, შემდეგ კი მოტორიზებული ნაწილები. მიღებულია ზომები ამ რაზმების მოქმედებისაგან მნიშვნელოვანი პუნქტების დასაცავად. საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილში მოწინააღმდეგის ყუმბარმშენი და მზვერავი ავიაცია დიდ აქტიურობას იჩენდა. ჩვენმა საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო გერმანიის მრავალი თვითმფრინავი".

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). როგორც ავიაციის სამინისტროს კომუნიკე აღნიშნავს, იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც 21 მაისს ჩაატარეს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დასავლეთის ფრონტზე კამბრეს, არასისა და სენ-კანტენის რაიონში, დანგრეულ იქნა მრავალი გზა და ხიდი იმ ადგილებზე, სადაც შეტევაზე გადასულმა გერმანიის ჯარმა უნდა გაიაროს.

გაძლიერებით დაუშინეს ყუმბარები გერმანიის სატანკო და ჯავშანსაავტომობილო ნაწილებს, აგრეთვე ტრანსპორტებს, რომლებზედაც ჯარები იმყოფებოდა. კამბრეს მახლობლად ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის ერთ-ერთი შენაერთი თავს დაესხა გერმანიის საავტოტრანსპორტო კოლონას, რომელიც რამდენიმე მილზე იყო გაშლილი. ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის მეორე შენაერთი, რომელიც ამავე რაიონში მოქმედებდა, თავს დაესხა გერმანიის მოტორიზებულ ნაწილებს, რომელნიც მიდიოდნენ მოძრავ პლატფორმებზე დადგმული ავტომატური ზარბაზნებისა და მსუბუქი ქვემეხების საფარქვეშ. ბაპომის რაიონში ყუმბარები დაუშინეს ზოგიერთ მნიშვნელოვან სარკინიგზო ხაზსა და გზებს. ინგლისის ავიაციამ აქტიური საქმიანობა განავითარა კამბრეს, სენ-კანტენსა და ირსონს შორის მდებარე სამკუთხედში. აქ ყუმბარები დაუშინეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს გერმანიის ჯარის იმ ნაწილებს, რომელნიც ლაშქრობაში იმყოფებოდნენ, აგრეთვე ტყეებში განლაგებულ ჯარის ნაწილებს. ერთ ადგილას ინგლისის მიერ ბომბარდირების შედეგად ხანძარმა იფეთქა და ტყის ვრცელ ტერიტორიას მოედო. ლე კატოს მახლობლად შენიშნულ იქნა მძიმე საბარგო მანქანების კოლონა, რომელსაც აგრეთვე ყუმბარები დაუშინეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს.

საფრანგეთის მთავრობა კლერმონ-ფერანში აპირებს გადასვლას

ნიუ-იორკი, 22 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, გაზეთ „პოპოლო დი რომა" იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობას განზრახული აქვს კლერმონ-ფერანში გადასვლა. ზოგიერთმა სამინისტრომ უკვე გაგზავნა იქ თავისი საქმეები.

ჰავასის სააგენტოს ცნობა

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ „საფრანგეთის ავტორიტეტული წრეები უარჰყოფენ ცნობას იმის შესახებ, თითქოს მთავრობა პარიზს სტოვებდეს".

ვ. გოფენშეფერი

„წყნარი დონი"

„წყნარი დონი" დამთავრდა... გამოვიდა ამ შესანიშნავი ეპოპეის მეოთხე, უკანასკნელი წიგნი. კითხულობ რომანის უკანასკნელ ფურცლებს და უფიქრდები არა მარტო მისი გმირების ბედ-იღბალს, არამედ იმ გზასაც, რომელიც გაიარა ავტორმა.

როდესაც 1928 წელს გამოვიდა „წყნარი დონის" პირველი წიგნი, იგი გაისმა მოულოდნელად, არაჩვეულებრივად. ნაკლებად ცნობილი ახალგაზრდა ავტორის წიგნმა მაშინვე მიიპყრო ყურადღება და თავის გარშემო ბევრი კამათი გამოიწვია. მაშინ მისი ავტორი მ. ა. შოლოხოვი 23 წლისა იყო.

ახალგაზრდა რომანისტმა გახსნა სამყარო, რომელზედაც მკითხველმა არაფერი არ იცოდა ან ჰქონდა უმართებულო წარმოდგენა. წიგნის მთავარი ღირსება მდგომარეობდა მხატვრის მიერ ცხოვრების ობიექტურ ახსნაში, მსოფლიოს ობიექტურ-რეალისტურ გამოსახვაში. არ სჩანდა, რით არის მიღწეული შოლოხოვის სიმართლე და უბრალოება. ცხოვრების გამოსახვა აღიქმებოდა როგორც თვით ცხოვრება მთელი მისი სირთულითა და წინააღმდეგობით. უკვე მარტო ეს მოწმობდა რომანის ავტორის დიდ ნიჭს, რომელიც იძულებული იყვნენ ეღიარებინათ მის მოწინააღმდეგეებსაც.

ასეთებიც იყვნენ! „რაპპის" ვულგარული კრიტიკისათვის „წყნარი დონი" გაისმა, როგორც გამოწვევა. შოლოხოვის ობიექტურ-რეალისტურ სტილს განიხილავდნენ, როგორც პროლეტარული ლიტერატურისადმი უცხო სტილს; იგი მიაწერდა ავტორს რეაქციული ყაზახობის „იდეალიზაციას", ხოლო თვით მწერალს უწოდებდა „არა ჩვენიანს" ან, უკეთეს შემთხვევაში, „მერყევ საშუალო გლეხს".

შოლოხოვის გულისათვის ბრძოლა ნიშნავდა **სოციალისტური რეალიზმის დიდი და გაბედული ხელოვნებისათვის ბრძოლას.**

„წყნარი დონი" არა მარტო რუსული ლიტერატურის პირველი დიდი და ნიჭიერი ნაწარმოებია ყაზახობაზე, არა მარტო მონუმენტალური ეპოპეაა ყაზახობის ბედ-იღბალზე სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში: ეს არის საბჭოთა რეალისტური პროზის შედევრი.

რომანის ერთ-ერთი გმირი—ყაზახი-ბოლშევიკი მიხეილ კოშევოი — ჩივის, რომ ადამიანები ცუდად იცნობენ ერთმანეთს: „რა ცხოვრება დაგრჩა უკან—არ ვიცი, შენ კი ჩემზე არა იცი რა". განსაკუთრებით სწყინს კოშევოის, რომ ხალხს უმართებულო წარმოდგენა აქვს ყაზახობაზე.

მ. ა. შოლოხოვი

და აი შოლოხოვი მოგვითხრობს, რა ცხოვრება ჰქონდათ ყაზახებს. იგი დიდ ადგილს უთმობს მათი ყოფაცხოვრებისა და ტრადიციების აღწერას. იგი გვიჩვენებს, როგორ ართულებდა, ხოლო ხშირად ჩრდილავდა კიდეც ყაზახობაში კლასობრივ დიფერენციაციას წოდებრივი ერთიანობა, რომელმაც ილუზიაც კი წარმოშვა ყაზახობაზე, როგორც განსაკუთრებულ „ერზე". თვითმპყრობელობა ხანგრძლივად და დაჟინებით უნერგავდა მათ „გლეხუჭების" წინაშე მეომარი გლეხების უპირატესობის იდეას. როდესაც ბოლშევიკი შტოკმანი ცდილობს განუმარტოს ყაზახებს, რომ ისინი „რუსებისაგან წარმოიშვნენ", ისინი ბოროტად უპასუხებენ: „დახეთ ამ საზიზღარს, გლეხებად გადაქცევა მოგვინდომა".

და ამასთან ერთად შოლოხოვმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვეცნო ყაზახობის მდგომარეობის მთელი წინააღმდეგობა. ყაზახები ტრაბახობდნენ თავიანთ მონაწილეობას რევოლუციური აჯანყებების ჩახშობაში, მაგრამ ამას იკვეხნიან ადამიანები, რომლებიც, ისევე როგორც ისინი, ვისაც ესენი ხვრეტავდნენ, ლუკმა-პურს მძიმე შრომით შოულობენ.

მუშაობისაგან დამსკდარი ხელები და მუშაობისაგან გაოფლიანებული სახეები და ზურგები—ეს სახეები ისევე გვხვდება „წყნარ დონში", როგორც ერთგულ ქვეშევრდომ მხედართა ომხიანი ლაპარაკი და გმირული სახეები.

როდესაც კითხულობთ „წყნარ დონს", თქვენ ხედავთ, რომ კლასობრივ დიფერენციაციას ყაზახობაში (ხოლო იგი არსებობდა მათში, როგორც „სხვა ადამიანებში") უნდა დაეძლია და დაერღვია წოდებრივი ერთიანობა.

ყაზახთა ტრადიციების და ყოფაცხოვრების დეტალური აღწერა ვულგარიზატორებმა მონათლეს ყაზახობის „იდეალიზაციად". ამავე დროს კი ეს აღწერა რომ არ ყოფილიყო, „წყნარი დონიც" არ იქნებოდა, ჩვენ ვერ დავინახავდით თავისებურებას იმ ისტორიული წყობისას, რომელმაც განაპირობა ყაზახობის განვითარება არა მარტო სამოქალაქო ომის წლებში, არამედ „გატეხილ ყამირში" ნაჩვენებ ეპოქაშიც.

მძიმე და ეკლიანი იყო დონელი ყაზახის გრიგოლ მელეხოვის გზა. მისი სიცოცხლის რვა წელი გადის ჩვენს თვალწინ. ეს არის ომისწინა წლები, როდესაც დაიწყო გრიგოლის საყოფაცხოვრებო დრამა — მისი სიყვარული აქსინიასადმი, შერთვა ნატალიასი, რომელიც არ უყვარდა, მშობლებისაგან წასვლა პანთან მოჯამაგირედ; წლები იმპერიალისტური ომისა, რომელმაც დაასახიჩრა გრიგოლის სული და გამოიწვია მასში გაგულისება იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისი ანგარებითი სარფისათვის ადამიანებს ხოცვა-ჟლეტაში ჰგზავნიდა; და, ბოლოს, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლები, როდესაც ისეთთა მილიონების წინაშე, როგორიც გრიგოლი იყო, დადგა საკითხი: „ვის გავყვეთ?", როდესაც სიმართლისა და სამართლიანობის ძიებაში გრიგოლი ხან ყაზახ „ნაციონალისტთა" გავლენის ქვეშ მოექცევა ხოლმე, ხან ბოლშევიკებს მიჰყვება, ხან ზურგს აქცევს მათ და თეთრ-ყაზახთა აჯანყებაში იღებს მონაწილეობას.

ბოლშევიკებისათვის იგი მეამბოხე თეთრ-ყაზახთა დივიზიის მეთაურია. თავის თეთრ თანამებრძოლთათვის, რომლებიც მას კარგად იცნობენ, იგი „დაუმთავრებელი ბოლშევიკია". ხოლო თავად-აზნაურ ოფიცრებისათვის —„გაუთლელი გლეხია", რომლის აბუჩად აგდებაც შეიძლება. თანდათანობით იგი ხვდება ანგარებითს, ექსპლოატატორულ მიზნებს და თეთრი მოძრაობის განწირულობას.

ეს დიდი ძალით არის ასახული რომანის მეოთხე წიგნში, სადაც ლაპარაკია „დონის ვანდეის" დასასრულზე და დენიკინის არმიის განადგურებაზე. ავადმყოფი გრიგოლი, რომელსაც შინაგანად უკვე კავშირი აქვს გაწყვეტილი თეთრგვარდიელებთან, უკან იხევს თავისუფალ ყაზახთა ნაშიერებთან ერთად, რომლებიც დამარცხდნენ „რუსი ხალხის წინააღმდეგ სამარცხვინო ბრძოლაში". იგი თვალცრემლიანი ისმენს ბნელ ღამეში ძველ ყაზახურ სიმღერას იმის შესახებ, „თუ როგორ მიდის ზაფხული, თბილი ზაფხული, დგება ზამთარი, ძმებო, ცივი ზამთარი", იმის შესახებ, რომ ყაზახები ვერსად დაიზამთრებენ და წასასვლელი გზა არსად აქვთ.

გრიგოლმა გადასწყვიტა სადაც უნდა წასულიყო. დენიკინის არმიის განადგურების შემდეგ იგი წითლებთან წავიდა. წავიდა პირველი ცხენოსანი არმიის რიგებში პოლონელებთან საბრძოლველად. ამით დამთავრდა რომანის სოციალური გმირის რთული გზა, რომელიც ასახავს საშუალო ყაზახობის მნიშვნელოვანი ნაწილის გზას სამოქალაქო ომის წლებში. მაგრამ ამით არ დამთავრებულა თვით გრიგოლის ინდივიდუალური ბედი. მისი ბოლო ტრაგიკულია.

დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და მხატვრული ტაქტით ხატავს მწერალი თავისი გმირის ტრაგედიას. მხატვრის დიდი სიმართლე სჩანს იმაში, რომ გრიგოლი მიხვდება თეთრი მოძრაობის უსამართლობას არა ბოლშევიზმის იდეის უპირატესობის შეცნობის საფუძველზე, არამედ უმთავრესად თეთრი ბანაკის ადამიანებზე, საქმეებსა და მიზნებზე ფიქრის საფუძველზე. ბრძოლის განვითარებასთან ერთად მან დაინახა, რომ მისი ადგილი არ არის იქ, სადაც ბატონთა „ანგარებაა", და მათ შორის, ვინც ღალატობს ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს. ხოლო ბოლშევიკური ბანაკის იდეებსა, ადამიანებსა და მიზნებში გრიგოლ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა.

ამიტომ საკმარისი იყო გრიგოლი წითელ არმიაში შეხვედროდა თავისადმი უნდობლობას, რომ მან მაშინვე გადაუხვია სწორი გზიდან, რომელსაც იგი თითქოს უკვე მტკიცედ დაადგა.

რომანის მერვე ნაწილში გრიგოლი უკვე აღარ წარმოადგენს სოციალურ ტიპს, რომელიც ასახავს საშუალო გლეხობის რთულ გზას რევოლუციისაკენ. აქ თავდება ამბავი გრიგოლის—როგორც **სოციალური სიმართლის** მაძიებლის შესახებ და იწყება ამბავი გრიგოლის—როგორც **პირადი მოსვენების** მაძიებლის შესახებ, იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ისწრაფვის გამოვიდეს ბრძოლიდან.

ჩვენს წინაშე უკვე სავსებით გამოფიტული ადამიანია. იგი მიისწრაფის მხოლოდ ერთი რამისაკენ: გამოვიდეს ბრძოლიდან, დაუბრუნდეს ოჯახს, მიწას. მაგრამ ბრძოლიდან გამოსვლა არ შეიძლება, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლა გრძელდება და მისგან მოითხოვს პასუხს: ვისთან არის იგი? ის კი... საშინელი სიცარიელე გამოსჭვივის ამ ადამიანის სიტყვებში, რომლებსაც იგი თავისი მრავალწლიანი მძიმე გზის ბოლოს ამბობს:

„აღარავის არ მინდა ვემსახურო... საშინლად დავიქანცე სულიერად, ყველაფერი მომწყინდა..." „...ჩემთვის აქამდე ყველაფერი გაურკვეველია... ცხრაას ჩვიდმეტი წლიდან დავდივარ ოღრო-ჩოღრო გზებით, მთვრალივით ვქანაობ... თეთრებს ჩამოვშორდი, წითლებს ვერ მივეკედლე, ისე დავცურავ, როგორც პატივი წყალზე..."

გრიგოლი რჩება იმ „შუაგულში", რომლისაც ეშინოდა, რჩება და ატარებს ტრაგიკული დანაშაულის სიმძიმეს. „უბედური კაცია", — ამბობს მის შესახებ აქსინია. მისი მოქმედებანი რომანის უკანასკნელ ნაწილში მეტისმეტად საწინააღმდეგოა, მაგრამ ისინი ასახავენ უკვე არა იმ ღრმა სოციალურ წინააღმდეგობებს, რომლებიც ახასიათებდა მის ძიებას წარსულში, არამედ მხოლოდ შემთხვევითობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მის ბედიღბალს, რაც მისი ნებისყოფის გარეშე იქმნება. ეშინია რა დაპატიმრებისა და შესაძლო დახვრეტისა, იგი შედის ფომინის ბანდაში, შედის მასში ისე, რომ არ სწამს მისი მიზნები და მისი საქმის წარმატება. შედის მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევით აღმოჩნდა იმ ადგილას, სადაც ბანდა იმყოფებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „ველარსად წასულა". ამ ნაბიჯის გადადგმით კი მან დაჰკარგა უკანასკნელი შანსები პატივისა და სიცოცხლისა.

ყველაფერზე ძვირფასი, რაც კი მას დარჩა, — არის აქსინია. მაგრამ ცდილობს რა მასთან ერთად გაექცეს ბრძოლას, იგი მოუფიქრებლად აგდებს მას სასიკვდილო საფრთხეში და ჰკარგავს.

შოლოხოვი შემაძრწუნებელი ძალით აწერს ტრაგედიას გრიგოლისას, რომელმაც დაჰკარგა მიჯნური: „...ყველაზე საშინელი, რაც კი შეიძლებოდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში, — უკვე მოხდა..." გრიგოლმა ხმლით გათხარა საფლავი და დამარხა აქსინია. ყველაფერი გათავდა...

სევდის მომგვრელი და სამწუხაროა რომანის ბოლო, როდესაც საბოლოოდ გატეხილი გრიგოლი გადასწყვეტს დაუბრუნდეს დაობლებულ სახლს.

„აი, ასრულდა ის მცირედი რამ, რაზედაც უძილო ღამეობით ოცნებობდა გრიგოლი. იგი იდგა მშობლიური სახლის ჭიშკართან, ხელში თავისი ვაჟი ეჭირა...

ეს იყო ყველაფერი, რაც მას დარჩა ცხოვრებაში, რაც მას ჯერ კიდევ ანათესავებდა მიწასთან და მთელ ამ უზარმაზარ, ცივი მზის ქვეშ მოელვარე ქვეყანასთან".

ამ მწარე სტრიქონებით თავდება ამბავი ამ იშვიათი ეპოპეის გმირისა. შოლოხოვი თავისი გმირის ბედიღბლის ბოლოს ადარებს ველის გადატრუსულ მიწას, რომლის გარშემოც ბიბინებს ახალი ბალახი.

„წყნარი დონის" ბოლო გამოიწვევს აღტაცებასა და კამათს, ვინაიდან იგი უკუაგდებს ბევრ შაბლონს, განმტკიცებულს ჩვენს ლიტერატურაში, ჩვენს ხელოვნებას უჩვენებს ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც გაბედულად გამოიყენა ნიჭიერმა მხატვარმა.

გრიგოლის სახეს რომ ჰქმნიდა, შოლოხოვმა ჩააქსოვა მას ადამიანის ხასიათის გამოსახვის მთელი ძალა, რომელიც გააჩნია მას, როგორც მხატვარს. გრიგოლი ტიპიურია და იმავე დროს ინდივიდუალურია თავისი ხასიათის წინააღმდეგობითა და თავისი ტემპერამენტის დაუცხრომლობით. დაუნდობლად ხატავს რა გრიგოლის ხასიათისა და ქცევის მთელ წინააღმდეგობას, შოლოხოვი მასში გადაგვიშლის ნამდვილ ადამიანურ თვისებებს, მის მისწრაფებას სამართლიანობისადმი, შინაგან პატიოსნებას, დიდ სიყვარულს სიცოცხლისადმი, შრომისადმი. ყოველი ცდა ამ სახის მოქცევისა „დადებითი" ან „უარყოფითი" გმირის კლასიფიკატორულ ჩარჩოში მარცხით უნდა დამთავრდეს.

როდესაც ლაპარაკობ „წყნარ დონში" ხასიათების დახატვის შესახებ, არ შეგიძლია მოიშორო ის აზრი, რომ აქ ხომ ლაპარაკია ყაზახ-**გლეხთა** დახატვაზე. მათი ისტორია და მათი გზა რევოლუციაში განსხვავდება დანარჩენი გლეხობის გზისაგან. ესენი განსაკუთრებული გლეხები არიან, მაგრამ მაინც გლეხები არიან. და გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „წყნარ დონში" მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში პირველად გლეხის, მისი ცხოვრების, ბრძოლის, ფსიქოლოგიისა და განცდების დახატვამ თავისი მხატვრული ძალით მიაღწია კლასიკურ ლიტერატურაში მოცემული გაბატონებული კლასების სახეებს.

გლეხისა და გლეხი-ქალის ფიქრები და განცდები ჯერ არასოდეს არ ყოფილა მოცემული ისე ფართოდ, ისეთი დახვეწილი ფსიქოლოგიური განმარტებით, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ლირიკულ ელფერთა ისეთი მრავალფეროვნებით, როგორც ისინი მოცემულია „წყნარ დონში" ყაზახ-გლეხის გრიგოლ მელეხოვის სახეში, აქსინიას სახეში.

შოლოხოვი „წყნარ დონზე" თოთხმეტ წელიწადს მუშაობდა. გზა რომანის პირველი წიგნიდან მეოთხემდე—ეს არის წლები მწერლის სრულყოფისა, რომელიც არასოდეს არ ჩერდებოდა მიღწეულზე. მეოთხე წიგნი გვაოცებს თავისი უბრალოებით, იმ მარტივი უბრალოებით, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ დიდი ოსტატისათვის, თავისი დახვეწილობითა და აღწერათა კლასიკური სიზუსტით.

„ჩემი მოთხრობის გმირი, რომელიც სულით და გულით მიყვარს, რომლის დახატვასაც ვცდილობდი მთელი მისი სილამაზით, და რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება საუცხოო,—ეს არის სიმართლე". ლ. ტოლსტოის ეს სიტყვები შოლოხოვს შეეძლო წაემძღვარებინა ეპიგრაფად თავისი ნაწარმოებებისათვის. და მთელ თავის ნიჭს, მთელ თავის ოსტატობას იგი უმორჩილებს იმას, რომ მის ნაწარმოებთა სიმართლე, თვით ცხოვრების სიმართლე გამოხატული იყოს ღრმად, ნათლად, უბრალოდ, რომ იგი დაეხმაროს ადამიანებს შეიცნონ წარსული და აწმყო მომავლის შესაქმნელად.

აი რატომ არის, რომ შოლოხოვის რომანებმა დიდი საზოგადოებრივი მოვლენების მნიშვნელობა მოიპოვეს. და აი ამიტომ არის, რომ მათში ეძებ იმ ახლისა და წარუვალის ნიშნებს, რასაც დაერქმევა **საბჭოთა კლასიკური ლიტერატურა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი თაობის სიძლიერისა და სილამაზის დემონსტრაცია

მსოფლიო რეკორდსმენი

1936 წელს ოდესის მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 წლის გოგონა ნინო დუმბაძე. პირველობის სხვა მეტოქეებთან შედარებით იგი უფრო ტანადი იყო, ფიზიკურადაც უფრო მომზადებული, მაგრამ ოდესის საუკეთესო ბადროს მტყორცნელ ქალებს შეჯიბრების მაჩვენებლებით იგი ბევრად ჩამორჩა. სხვა მტყორცნელი ქალები ბადროს 40 მეტრამდე სტყორცნიდნენ, ნინო დუმბაძის შედეგი კი 29 მეტრს არ აღემატებოდა. საიდუმლოება სპორტის ტექნიკის ათვისებაში იყო. ახალგაზრდა გოგონამ გადასწყვიტა მაქსიმალურად აეთვისებინა სპორტის ამ დარგის ტექნიკა და ჩვენი ქვეყნის რეკორდიც გაეუმჯობესებინა.

გოგონა დიდი ენტუზიაზმით დაეწაფა ბადროს ტყორცნის სხვადასხვა სტილის ათვისებას. მას არ ჰყავდა დამხმარე მწვრთნელი, ამის გამო იგი დაეწაფა სპორტულ ლიტერატურას. დღეცა და ღამეც ნინოს მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში — საუკეთესოდ აეთვისებინა ბადროს ტყორცნისათვის ყველა მოძრაობის დეტალი—დაუფლებოდა სპორტული ტექნიკის მაღალ კლასს.

ზამთრის პერიოდში გოგონა ოთახში ავარჯიშებდა ბადროს ტყორცნის ყველა მოძრაობის დეტალებს, 1937 წლის გაზაფხულზე კი მან თავისი შედეგი უკვე 8 მეტრით გააუმჯობესა. ზაფხულში ნინო სტადიონს არ სცილდებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ მძლეოსანმა დუმბაძემ ბადრო 42 მეტრზე და 13 სანტიმეტრზე სტყორცნა. მაღალმა სპორტულმა მაჩვენებლებმა ფრთები შეასხა ახალგაზრდა მძლეოსანს. რამდენიმე დღის შემდეგ მან ბადრო უკვე 44 მეტრსა და 51 სანტიმეტრზე სტყორცნა, ხოლო ამავე წლის 7 ნოემბერს ქ. ერევანში ნინომ კვლავ გააუმჯობესა თავისი რეკორდი. მის მიერ გატყორცნილი ბადრო მძლეოსანს 45 მეტრითა და 78 სანტიმეტრით დასცილდა. ეს შედეგი დუმბაძეს საერთაშორისო კლასის მძლეოსანთა შორის აყენებდა. მას საგრძნობლად ჩამორჩა სსრ კავშირის ყველა საუკეთესო მტყორცნელი.

ნინომ მტკიცედ გადასწყვიტა გადაელახა გერმანელი მძლეოსანი ქალის მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდი. ორი მეტრის გადასალახავად, რომელიც დუმბაძეს აცილებდა მსოფლიო რეკორდსმენის სახელისაგან, ხანგრძლივი შრომა დასჭირდა.

მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ნ. დუმბაძე.

1938 წელს ნინო დუმბაძე თბილისის მწვრთნელ ბ. დიაჩკოვთან ერთად აზუსტებს მოძრაობის ყოველ უმნიშვნელო დეტალს. 1939 წლის ზაფხულში მძლეოსანი ქალი საუცხოო სპორტულ ფორმაშია. მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში მან ბადრო 46 მეტრზე და 83 სანტიმეტრზე გადასტყორცნა, რითაც მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელწოდება. ამის შემდეგ დუმბაძე აათკეცებს მუშაობას ტექნიკის დაუფლების დარგში და ამავე წლის 18 სექტემბერს მის მიერ გადატყორცნილი ბადრო გასცდა 49 მეტრსა და 11 სანტიმეტრს. ეს ფენომენალური შედეგი 80 სანტიმეტრით აღემატებოდა გერმანელ მაუერმაიერის მსოფლიო რეკორდს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა უფრო გააძლიერა თავის თავზე მუშაობა და 1939 წლის ოქტომბერში თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე—იგი კვლავ აუმჯობესებს მსოფლიო რეკორდს. მან ბადრო გადასტყორცნა 49 მეტრზე და 54 სანტ.

მიმდინარე წელს მსოფლიო რეკორდსმენი ნინო დუმბაძე კვლავ ფიქრობს მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას.

შ. მარიამიძე

ფიზიკური კულტურა ორდენოსან საქართველოში

თ. სხირტლაძე

საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

სპორტი ადამიანის ფიზიკურად აღზრდის ყველაზე მძლავრი საშუალებაა. ფიზიკური კულტურა ყოველმხრივ ანვითარებს ადამიანის ორგანიზმს, ამზადებს მას ნაყოფიერი შრომისა და საყვარელი სამშობლოს თავდაცვისათვის.

კომუნისტური პარტიისა და დიდი **სტალინის** ყოველდღიური ზრუნვა იმას ადასტურებს, რომ ფიზიკური კულტურა სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს.

ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენმა ფიზკულტურელებმა თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვეს. მათ საუკეთესო წარმომადგენლებს არა ერთი მსოფლიო და საკავშირო მნიშვნელობის რეკორდი დაუმყარებიათ. ვინ არ იცნობს ახლა საქართველოს მძლეოსან ქალს, მსოფლიო რეკორდსმენს, ნინო დუმბაძეს, მსოფლიო რეკორდსმენს, შტანგისტ კასიანიკს და სპორტის სხვა ოსტატებს.

სპორტის გამოცდილ ოსტატებს არ ჩამორჩებიან სკოლის მოსწავლე ახალგაზრდებიც. სპორტსმენთა ეს ახალი თაობა იმდენად გაიზარდა, რომ მათ მიერ დამყარებული რეკორდები ხშირად უსწორდებიან გამოცდილი ოსტატების მიღწევებს.

დიდითდიდი მრავლდება ფიზკულტურული კოლექტივების, სექციების, წრეებისა და სასპორტო სკოლების ქსელი. ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციები თავის რაოდენობითა და მოცულობით დიდად გასცდნენ გასული წლების ციფრებს. ამჟამად საქართველოში დაარსებულია 1442 ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებიც ბავშვებიანათ აერთიანებენ 165.000 ფიზკულტურელს. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სოფლად დღემდე ჩამოყალიბებულია 750 კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 25.500 კაცი.

ნორმების ჩაბარება ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითად ამოცანას წარმოადგენს 1940 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს 211.395 „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ პირველი საფეხურისა და 3.538 მეორე საფეხურის ნიშნოსანი. გარდა ამისა 14.101 მოსწავლე ფიზკულტურელმა მთლიანად ჩააბარა ნორმები ნიშანზე „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“. მაგრამ ამ მიღწევებით როდი ამოიწურება ჩვენი მუშაობა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებამ ნიშნის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ შემოღების შესახებ, საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უფრო დიდი ამოცანა დაუსახა. მიმდინარე წელს ჩვენმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ ახალი კომპლექსის 24.500 პირველი საფეხურისა და 1.084 მეორე საფეხურის ნიშნოსნები. მოსწავლეთა შორის ნიშანზე „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ ნორმები მთლიანად უნდა ჩააბაროს 17.000 ბავშვმა.

ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს — სახელოვან წითელ არმიას მოვუმზადოთ ყოველმხრივ ჯანსაღი, კუნთმაგარი და საყვარელი სამშობლოს დასაცავად ყოველმხრივ მომზადებული ახალგაზრდები.

ქართველი ხალხი მდიდარია ნაციონალური სპორტის სახეებით. ქართული ჭიდაობა, ჯირითი, ყაბახი, ჩოგანბურთი, თარჩია, მარულა, ლელო, ყოველმხრივ ანვითარებენ გამბედაობას, ამტანიანობას, სისწრაფეს, მტკიცე ნებისყოფას, გამარჯვებისადმი რწმენას, რთულ საბრძოლო პირობებში სწრაფ ორენტირებას. სპორტის ამ ნაციონალურ სახეებს იმდენად დიდი სამხედრო გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ, რომ ზოგი მათგანი შეტანილია ახალი ნიშნის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ კომპლექსში. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ამ დარგებში შეჯიბრება მეტად საინტერესო სანახაობას წარმოადგენს. უკანასკნელი წლების განმავლობაში სპორტის ნაციონალურმა სახეებმა იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვეს, რომ ახლა ხშირად იმართება შეჯიბრება არა მარტო ცალკეულ კოლმეურნეთა შორის, არამედ სხვადასხვა რაიონების გუნდებს შორისაც. ამ შეჯიბრებაზე ხშირად მაყურებელთა რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს აღემატება.

საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ახლა კარგად იცნობენ კოლმეურნე მოჭიდავეებს გვეჯე და მარო ივანიძეებს, ქართული ჭიდაობის ოსტატს მეკოკიშვილს, უკვე ღრმა მოხუცს, მაგრამ შესანიშნავ მხედარს ჯუნდუსკიას და სხვებს.

გასულ წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩვენმა კოლმეურნე ფიზკულტურელებმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე მოაწყეს საჩვენებელი შეჯიბრება სპორტის ქართულ ნაციონალურ სახეებში. ქართულმა ჭიდაობამ, ლელომ და სპორტის სხვა სახეებმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვიეს, რომ ახლა ქართული ნაციონალური სპორტის სახეებს ჩვენს მოძმე რესპუბლიკებშიც კი ანვითარებენ.

სოფლად ფიზკულტურული მუშაობის განვითარებას დიდი ბიძგი მისცა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ. ახლა ფიზკულტურულ მუშაობას თითქმის ყოველ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა ფიზკულტურული მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ერთმანეთი და ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ამ დარგში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

გასულ წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა საკოლმეურნეო გუნდების საკავშირო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა დარგში. შეჯიბრებაში 16.800 კაცი მონაწილეობდა. საქართველოს კოლმეურნე ფიზკულტურელები ამ შეჯიბრებაზე სანიმუშო მაჩვენებლებით წარსდგნენ. ამის გამო ფიზკულტურისა და სპორტის სრულიად-საკავშირო კომიტეტმა საპატიო საჩუქრით დააჯილდოვა ქუთაისის რაიონის სოფ. პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამხანაგმა **კ. ჩარკვიანმა** თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო სამხედრო-ფიზკულტურულ მუშაობას. ჩვენს წარმატებებთან ერთად ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა აღნიშნა ჩვენი ნაკლოვანებებიც. მან მიგვითითა ქალაქად და განსაკუთრებით სოფლად ფიზკულტურული მუშაობის უფრო გაშლის საჭიროებაზე და ჩვენც, ფიზკულტურის დარგის მუშაკები, ძირფესვიანად აღმოვფხვრით ყველა ნაკლს. უმოკლეს ვადაში გადავწყვეტთ იმ ამოცანებს, რომლებიც დაგვისახეს ქართველი ხალხის საამაყო შვილმა **ლ. ბერიამ** და მის ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა ბოლშევიკებმა.

ძლიერთა თაობა



სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი გ. რცხილაძე.

ჩვენი დროის ნიჭიერი, კუნთმაგარი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს დაუღალავად ემსახურება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეგზომ ამაყად რომ ატარებს ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** სახელს.

რაოდენ ცხოველმყოფელი და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობაა აქ. სამკითხველოებში, ბიბლიოთეკებსა, აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში ნახავთ ბედნიერ ვაჟებსა და ქალიშვილებს, რომლებიც გულმოდგინედ ეუფლებიან მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად იდეებს.

უნივერსიტეტის სტუდენტობა, პროფესორ - ლექტორები, ქალები, ვაჟები, თითქმის მთელი კოლექტივი დიდად არის დაინტერესებული საბჭოთა ფიზკულტურითა და სპორტით.

მთელს კავშირში ცნობილია უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდი, რომელიც სსრკ ჩემპიონობის პრეტენდენტად ითვლება. ამხ. ლომინაძეს და არახჩიანს სსრკ სპორტის ოსტატის სახელწოდება აქვთ მინიჭებული. ფრენბურთს დიდი გატაცებით თამაშობენ აგრეთვე ორდენოსანი პროფესორები—ამხ. ა. თვალჭრელიძე და ა. ჯანელიძე, პროფ. კ. ბაქრაძე, დოცენტი პ. გუგუშვილი და სხვ.

ბელადის სახელობის უნივერსიტეტს ჰყავს კალათბურთელთა საუცხოო გუნდი, რომლის ორ წევრს— ამხ. ავალიშვილს და ახვლედიანს სსრკ სპორტის ოსტატის სახელწოდება აქვს მინიჭებული. ამ გუნდს სპორტსაზოგადოება „მეცნიერებას“ ხაზით სსრ კავშირის პირველობა აქვს მოპოვებული. უნივერსიტეტში არიან აგრეთვე ცნობილი მძლეოსნები, მოკრივეები, მოფარიკავენი, მოჭადრაკეები და სხვ. ჭადრაკში თბილისის საქალაქო გუნდურ შეჯიბრებაში უნივერსიტეტის მოჭადრაკეებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ფიზკულტურა და სპორტი ბელადის სახელობის უნივერსიტეტში მასობრივი მოვლენაა. მაგალითად, „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ პირველი საფეხურის ნორმები ჩაბარებული აქვს 2000 კაცს. ამჟამად 1300 კაცი აბარებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ნორმებს ახალი კომპლექსის მიხედვით.

უნივერსიტეტის სპორტსმენები სწავლის ფრიადოსნებიც არიან. მაგალითად, სსრკ სპორტის ოსტატი ამხ. კ. ლომინაძე ფრიადოსანი ასპირანტია. იგი გულმოდგინედ სწავლობს ფილოსოფიის ისტორიას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს.

მოწინავე მეცნიერების დაუფლებისათვის დაუღალავად მებრძოლი, სულითა და სხეულით ჯანსაღი, სოციალიზმის სამშობლოს პატრიოტი, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი ბოლომდე ერთგული—აი ბელადის სახელობის მშობლიური უნივერსიტეტის ახალგაზრდობა. 24 მაისს ფიზკულტურელთა პარადზე ამ ახალგაზრდობის გამოსვლა სიჭაბუკისა და სიძლიერის, სილამაზისა და საბრძოლო მზადყოფნის შესანიშნავი დემონსტრაცია იქნება.

აკ. შონია

ქარხნის ფიზკულტურელები

მათი ცხოვრება ლამაზი, მიმზიდველი, მჩქეფარე და დაუდგრომელია, მათი მუშაობა წარმტაცი, ხალისიანი, მაღალნაყოფიერი და შინაარსიანი...

ისინი შრომითი გმირობისა და თავდადების სასწაულებს ახდენენ. სახარატო, სალარავ თუ სარანდავ დაზგებთან გულმოდგინეთ და შეუპოვრად იბრძვიან ორთქლმავლების გაჯანსაღებისათვის. ისინი აგრეთვე სტადიონებზე, სასპორტო მოედნებზე და სასპორტო დარბაზებში მტკიცედ და სახელოვნად იცავენ ბელადის სახელობის ქარხნის სახელსა და ღირსებას. მაგრამ ისინი ქარხნის კოლექტივს არც ბრძოლის ველზე შეარცხვენენ. პირველ დაძახებისთანავე, თუ ეს საჭირო იქნა, მკერდით დაიცავენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს საზღვრების ხელშეუხებლობას.

ქარხნის ფიზკულტურელები მიზანში სროლის განსაცვიფრებელ ნიმუშებს იძლევიან. ამწყობი საამქროს ოსტატს ევ. კოჩეტკოვს მთელს ქარხანაში იცნობენ როგორც შესანიშნავ მსროლელს, საუცხოო სნაიპერს. მას არა ერთხელ უსახელებია ქარხანა სასროლო შეჯიბრებაში. კოჩეტკოვს როდი ჩამორჩება ფიზკულტურელი ქალი ამხ. რ. შუტკოვა, ალ. მარგიშვილი და სხვ.

ნახეთ ფიზკულტურელები ზეინკალი ამხ. შ. ბაბილოძე, გ. ლომიძე, აკ. მაჭავარიანი „სახიშტო ბრძოლაში“ და თქვენ ნამდვილი მწვავე, ხელჩართული ბრძოლის შთაბეჭდილება დაგრჩებათ.

რა განუზომელი ინტერესით სწავლობდა ქარხნის 160 ფიზკულტუ- [illegible] ვნელობა და გამოყენება ჰქონდა თეთრფინელებთან ბრძოლაში.

ამასწინათ ჩატარებულ საქალაქო კროსში ქარხანამ ლენინის ორდენოსან სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ქალებმა ამხ. რ. იდელსონმა, ფ. ივანოვამ, ლ. ზაქსმა, კ. პარავინამ. ვაჟებმა ამხ. ივ. დიხანმა ნ. ტროიცკიმ, გ. კონდრატენკომ, ან. კირეევმა, შ. გოდერძიშვილმა.

ქარხანას ჰყავს აგრეთვე ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, ჩოგბურთელთა და ფრენბურთელთა კარგი გუნდები. აქ საუკეთესოდ თამაშობენ ზეინკალი ამხ. მ. როსნაძე, ოსტატი ალ. ხარლამოვი, მექვაბე ვ. არეშიძე და სხვ.

ამჟამად ქარხნის 600 ფიზკულტურელი წარმატებით აბარებს ნორმებს ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. მეორე საფეხურის ნორმების ჩაბარებაში განსაკუთრებულ წარმატებას იჩენენ წვევამდელები აკ. მაჭავარიანი, შ. ნოზაძე ვ. ბრეგვაძე, შ. გოდერძიშვილი და ან. კირეევი.

კარგად სთქვა შარშან ფიზკულტურის პარადის მონაწილეთა მიღებაზე კრემლში ფიზკულტურელმა ამხ. სელეზნევმა: „დღეს ჩვენ სამხედრო თამაში მოვაწყეთ. ხვალ, თუ საჭირო იქნება, ჩვენი პარტიის მოწოდებისთანავე, ჩვენი საბჭოთა მთავრობის მოწოდებისთანავე ყველანი ერთსულოვნად გამოვალთ და ბრძოლის თამაშად ვაქცევთ ამ თამაშს“.

ამ სიტყვებს გაიმეორებენ ბელადის სახელობის ქარხნის ფიზკულტურელები.

პ. ჭიჭაძე

ტანვარჯიშის ოსტატები პ. რომანიშვილი, შ. ჯორჯაძე (ორდენოსანი), გ. ბაბილოძე. ფოტო რ. ბკოფოვისა.

ზრდის ციფრები

1939 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის მზადებამ მძლავრი ბიძგი მისცა ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნას.

1939 წლის განმავლობაში სოფლის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საკონტროლო დავალება ნიშან „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ პირველი საფეხურის ნიშნოსნების მომზადების დარგში გადაჭარბებით შეასრულეს. გეგმით გათვალისწინებულ 2.649 ნიშნოსნის მომზადების ნაცვლად, კომპლექსი ჩააბარა 4.415 კაცმა. მთავრობის საკონტროლო დავალება შესრულებულ იქნა 180 პროცენტით.

მიმდინარე წელს გამრავლდა სოფლად შეჯიბრებათა რიცხვიც. სოფლად ჩატარებულ სასპორტო შეჯიბრებათა სხვადასხვა დარგში მონაწილეობა მიიღო 29.000-მდე კაცმა.

გასულ წელს კოლმეურნეობებში ფიზკულტურული მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გამოფენის მონაწილის საპატიო სახელი მოიპოვა სოფლის 9 ფიზკულტურულმა კოლექტივმა და ფიზკულტურის დარგის 13 მუშაკმა. მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მიერ გაგზავნილია 40 ფიზკულტურული საკოლმეურნეო კოლექტივი და 125 მოწინავე საკოლმეურნეო ფიზკულტურული მუშაკი.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან ქუთაისის რაიონის სოფ. პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის, ლუქსემბურგის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, ანასეულისა და ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობა „გუთნის“, თელავის რაიონის ზემოხოდაშნის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობისა და ქუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითის სრული საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივები და სხვ.

ი. კიღურია

ერთი კოლმეურნეობის 78 ნიშნოსანი

გასულ წელს მთელ საბჭოთა კავშირში ფიზკულტურელთა შორის დიდად გაითქვეს სახელი ქუთაისის რაიონის სოფ. პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნე ფიზკულტურელებმა. მოიპოვეს რა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება, ისინი გამოფენაზე შესანიშნავი ფიზკულტურული მაჩვენებლებით წარსდგნენ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა პატრიკეთის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი საპატიო სიგელითა და ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა.

მთელს კავშირში მოპოვებულმა პოპულარობამ უფრო დარაზმა კოლმეურნენი და ახლა მათ ფიზკულტურული მუშაობის საუკეთესო ნიმუშები ახასიათებთ.

ამას წინათ კოლმეურნეობას ეწვია საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის ბრიგადა, რომელმაც დეტალურად შეამოწმა კოლმეურნეთა მუშაობა ფიზკულტურის დარგში.

— ვიზრდებით, — დღითიდღე ვიზრდებით, — სიხარულით ამბობდა კოლმეურნეობის პარტორგი იონა გოდუაძე. ფიზკულტურული ორგანიზაცია მართლაც მნიშვნელოვნად გაზრდილა. კოლმეურნეობის 525 წევრიდან ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაბმულია 233 კაცი. თვითონ იონა გოდუაძე აქტიური ფიზკულტურელია და თვითონვე ხელმძღვანელობს ფიზკულტურის ბიუროს მუშაობას. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია სპორტის სხვადასხვა სექციები. 35 კაცი რეგულარულად მეცადინეობს ტანვარჯიშობის წრეში, 36 კოლმეურნე მძლეოსნობის სხვადასხვა სახეებით არის [illegible] ფეხბურთის ორი გუნდი, ველოწრეში 30 კოლმეურნეა ჩაბმული. კოლმეურნეთა უმრავლესობა მისდევს ნაციონალური სპორტის სახეებს. ხშირად თამაშობენ ლელოს, ვარჯიშობენ ცხენოსნობაში, სიმძიმეების აწევაში, ჭიდაობენ, ნადირობენ.

იონა გოდუაძეს აქტიურად ეხმარება კომკავშირის კომიტეტის მდივანი კალისტინე ნაჩევაძე.

კოლმეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობით გატაცება ცალმხრივი საქმე როდია. სტახანოველი ლადო გაბუნია, რომლის ბრიგადა ცნობილია კოლმეურნეობაში, საუკეთესო მოჭიდავეა და ლელოს მოთამაშე. 45 წლის ბრიგადირი კოტე ნამჩევაძე სამუშაო ნორმებს 160 პროცენტით ასრულებს, მაგრამ ამავე დროს ის საუკეთესო მსროლელია და ლელოს მოთამაშე. შრომის ნაყოფიერების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის იგი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა 1939 და 1940 წლებში.

ნიშნის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი კომპლექსის შემოღებას პატრიკეთის ფიზკულტურელები სწრაფად გამოეხმაურნენ. ამჟამად ფართოდ გაიშალა ნორმების ჩაბარება ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“, რომელშიც უკვე ჩაება 78 კოლმეურნე.

სოფ. პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას სანიმუშოდ აქვს დაყენებული ფიზკულტურული და თავდაცვითი მუშაობა, მაგრამ მოპოვებულ მიღწევებს კოლმეურნეებმა უფრო ენერგიული შრომით უნდა უპასუხონ, თორემ საქართველოში მათ ბევრი მეტოქე ჰყავთ.

გ. გარიძე



საზოგადოება „ქიდიკის“ მძლეოსანი ე. ბარკალაია ბირთვის ტყორცნის დროს. სპორტის ოსტატი გ. ბაბილოძე ლერძზე ვარჯიშის მომენტში. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტები ასრულებენ აკრობატულ ვარჯიშს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები საპარადო გამოსვლის რეპეტიციაზე, საქართველოს საუკეთესო ველოსიპედისტი ხაზურზანია, ხობის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი ე. დომბაძე ცხენზე ვარჯიშის მომენტში.

რეინოს მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვა

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ რეინომ საფრანგეთის სენატში წარმოსთქვა სიტყვა; მან განაცხადა:

„სამშობლო საფრთხეშია. ჩემი პირველი მოვალეობაა სიმართლე ვუთხრა სენატსა და ჩვენს ქვეყანას. თქვენ იცით, რომ სიმაგრეები, რომლებიც ჩვენს საზღვარს იფარავდა, ორ ნაწილად იყოფოდა: მაჟინოს ხაზი—ბაზელიდან ლონგვიმდე — და მსუბუქ სიმაგრეთა ხაზი—ლონგვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე. მას შემდეგ, რაც მტერი ჰოლანდიასა, ბელგიასა და ლუქსემბურგში შეიჭრა, საფრანგეთის არმიის მარცხენა ფრთა გამოვიდა სედანსა და ჩრდილოეთის ზღვას შორის მდებარე სიმაგრეებიდან და დაიკავა პოზიციები სედანიდან ბუა-ლე-დიუკამდე (გერტოგენბოშამდე) ჰოლანდიაში. მტერმა, რომელიც ამ მოძრაობას წინასწარ ითვალისწინებდა, უძლიერესი შეტევა დაიწყო საფრანგეთის არმიის ჯარის ნაწილებზე, რომლებიც განლაგებული იყვნენ მდინარე მაასს გაღმა, სედანსა და ნამიურს შორის. მაასი მუდამ ითვლებოდა მტრის მოძრაობის დიდ დამაბრკოლებელ ადგილად, და საფრანგეთის დივიზიები, რომლებსაც მისი დაცვა ჰქონდათ დაკისრებული, დიდ მანძილზე გაიშალნენ. საუკეთესო ჯარი იმყოფებოდა ფლანგზე—ბელგიაში. მაგრამ მაას ისეთი მდინარეა, რომლის დაცვა ძნელია. ტყვიამფრქვევთა დაშენა ფლანგიდან შეუძლებელია და, პირიქით, კარგი მანევრირების დროს შესაძლებელია ჯარის შემოჭრაც. ამას გარდა, ქვეითი დივიზიების ნახევარს ჯერ კიდევ არ მიეღწიათ მაასამდე, თუმცა ისინი უმოკლესი გზით მიდიოდნენ. წარმოუდგენელი შეცდომების გამო, რისთვისაც დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან, მაასის ხიდები არა ყოფილა აფეთქებული. ამ ხიდებზე გამოვიდნენ ჯავშანსატანკო დივიზიები, რომელთა წინ მოფრინავდნენ საბრძოლო თვითმფრინავები. ისინი თავს ესხმოდნენ მეთაურთა შემადგენლობით ცუდად დაკომპლექტებულ და ასეთი იერიშების მოგერიებაში ცუდად გაწვრთნილ შეთხელებულ დივიზიებს. ახლა თქვენთვის გასაგებია არმიის მთელი განადგურება და მისი სრული დეზორგანიზაცია ამ ადგილას. ასე გამოეთხარა ძირი იმ ღერძს, რომელსაც საფრანგეთის არმია ეყრდნობოდა.

როდესაც გუშინწინ სამხედრო სამინისტროში მივედი, იქ დამხვდნენ პეტენი და ვეიგანი. მაშინ მდგომარეობა შემდეგნაირად გვეხატებოდა: ჩვენი ფრონტის ასობით კილომეტრი მანძილი გარღვეული იყო; შიგ შემოიჭრა გერმანიის არმია, რომელიც ჯავშანსატანკო და მოტორიზებული დივიზიებისაგან შესდგებოდა. ამ დივიზიებმა ფართოდ გაარღვიეს ხაზი პარიზის მიმართულებით, დასავლეთისაკენ გაეშურნენ; ამასთან მათ ზურგიდან ხელთ იგდეს მთელი ჩვენი სიმაგრეების სისტემა საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე და საფრთხე შეუქმნეს მოკავშირეთა ძალებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბელგიაში მოქმედებდნენ. ამ დივიზიების უკან დახევის შესახებ ბრძანება მხოლოდ 15 მაისს საღამოს გაიცა. 19 მაისს გერმანიის ერთმა ჯავშანსატანკო დივიზიამ ლე-კენუა-კამბრე-პერონის ხაზს მიაღწია. 48 საათის განმავლობაში გერმანელები შემოტევას განაგრძობდნენ. 21 მაისს დილით სარდლობამ გვაცნობა, გერმანელებმა არასი და ამიენი დაიკავესო. როგორ ჩავვარდით ჩვენ ამ დღეში? არის თუ არა ამის მიზეზი ჩვენი არმიის მორალური თვისებები? სრულიადაც არა. ბრძოლა, რომელიც ბელგიაში სწარმოებდა პირველ დღეებში, საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მაგრამ ჩვენი კლასიკური წარმოდგენა ომის წარმოებაზე ახალ კონცეპციას წააწყდა, რომელსაც საფუძვლად უდევს არამარტო ჯავშანსატანკო დივიზიების მასობრივი გამოყენება საბრძოლო თვითმფრინავების დახმარებით, არამედ ჩვენი ზურგის დეზორგანიზაციაც ღრმა რეიდებით, პარაშუტისტებით, რომლებმაც ბელგიაში ხელთ იგდეს ლიეჟის ყველაზე ძლიერი ფორტი. მდგომარეობა რომ გამოვასწოროთ, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვიფიქროთ ომის წარმოების ახალ მეთოდებზე და დაუყოვნებლივ მივიღოთ გადაწყვეტილებანი".

„მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილებანი, — სთქვა შემდეგ რეინომ, — არავითარი სისუსტე არ იქნება დაშვებული. სიკვდილი ძალიან მსუბუქი სასჯელია იმ შეცდომებისათვის, რომლებიც ზიანს აყენებენ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს".

დასასრულ, რეინომ რწმენა გამოსთქვა, რომ საფრანგეთი გადარჩენილი იქნება.

* * *

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა რეინომ დილით რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა; მან განაცხადა: ეს ეს არის ვნახე გენერალი ვეიგანი, რომელიც ფრონტიდან დაბრუნდა. ვეიგანმა მითხრა: „დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა კეთილად დაგვირგვინდება, თუ ყველანი მტკიცე გადაწყვეტილებით შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას".

რეინომ ხაზგასმით აღნიშნა: სამოქალაქო მოსახლეობას „არ უნდა შეეშინდეს გერმანიის მექანიზებული კოლონების რეიდებისა, რომლებიც წინა წლების საკავალერიო თავდასხმას მოგვაგონებსო". რეინომ დასძინა, რომ „ყველა თავის პოსტზე უნდა დარჩეს და განაგრძოს მუშაობა. პროდუქციის გამოშვების ტემპებისა და მოცულობის ყოველგვარი შესუსტება ნაციონალურ ღონისძიებათა შესუსტებას გამოიწვევს და ზიანს მიაყენებს ჩვენს ქვეყანას".

„ვიმეორებ, — განაცხადა რეინომ, — თუ ერთ თვეს გავძელით, და ჩვენ კი უნდა გავძლოთ, სამი მეოთხედით გამარჯვებული ვიქნებით".

დაფ-კუპერის გამოსვლა

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ საღამოს რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ინფორმაციის მინისტრმა დაფ-კუპერმა, რომელმაც განაცხადა:

„როდესაც გასულ კვირას გამოვდიოდი, მე გაგაფრთხილეთ, რომ მზად უნდა ვიყოთ ცუდი ამბებისათვის, და გთხოვეთ ისეთივე სიმტკიცით შეხვედროდით ამ ამბებს, როგორითაც ჩვენი ჯარი ხვდება მტრის იერიშებს. ამბები ძალიან სამწუხაროა. საჭირო არ არის საწინააღმდეგოს მტკიცება, მაგრამ არც სერიოზული შეშფოთებისათვის არსებობს საფუძველი და უფრო ნაკლები საფუძველი გვაქვს პანიკისათვის. გერმანიის არმიის მცირე რაზმებმა, წარმატებით გამოიყენეს რა ომის ახალი ტექნიკა, შესძლეს დიდ მანძილზე შემოჭრილიყვნენ. მაგრამ ეს რაზმები უმნიშვნელოა. მათ მიერ მიღწეულმა წარმატებამ უაღრესად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა თვით ეს რაზმები. ინგლისის არმია და საფრანგეთის დიდი არმია ჯერ კიდევ ბრძოლის ველზე იმყოფებიან, და ისინი დამარცხებული არ არიან. ბრძოლის დამთავრების შემდეგაც კი ძნელად გაერკვევი, თუ რა მოხდა ამ ბრძოლის დროს. მაგრამ როდესაც ბრძოლა ჯერ კიდევ სწარმოებს, მაშინ ხომ სრულიად შეუძლებელია ამბებში გარკვევა. დროგამოშვებით მოდის ცნობები, მაგრამ ეს ცნობები ერთიმანეთის საწინააღმდეგოა. ამასთან დაკავშირებით, სრული დარწმუნებით შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ სამი ფაქტი. ჯერ ერთი, მტრის ახლანდელ მიზანს წარმოადგენს—მიაღწიოს ლა-მანშის სრუტის სანაპიროს ნავსადგურებს, საიდანაც მას იმედი აქვს აწარმოოს ომი ინგლისის წინააღმდეგ, მეორე—გერმანიის მექანიზებული ჯარის მცირე რაზმებმა შესძლეს მოკავშირე ჯარის შემოვლა, წინ წაიწიეს დიდ მანძილზე და თავიანთ მიზანს მიუახლოვდნენ, მესამე—ინგლისის და საფრანგეთის არმიები დამარცხებული არ არის. ბრძოლაში ცვალებად წარმატებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მხედველობაში მისაღებია მხოლოდ ბრძოლის შედეგი. მე გასულ კვირას განვაცხადე, რომ ამ ბრძოლის შედეგს, როგორიც უნდა იყოს იგი, არ შეუძლია დამარცხება მოუტანოს ინგლისსა და საფრანგეთს ამ ომში. გერმანელთა მოულოდნელი შემოტევა, იერიშის ძალა, თავდაპირველი წარმატებანი გაცილებით უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით. მაგრამ განა ეს 1914 წლის აგვისტოს და 1918 წლის მარტის ამბების განმეორება არ არის? იმედი ვიქონიოთ, რომ ახლანდელი ამბებიც ასევე დამთავრდება. თვითეულმა ჩვენგანმა თავისი როლი უნდა შეასრულოს იმ ბრძოლაში, რომელიც ჩვენს ნაპირებს უახლოვდება".

რუზველტის განცხადება

ვაშინგტონი, 22 მაისი (საკდესი). პრეს-კონფერენციაზე რუზველტმა არ მოისურვა პირდაპირი პასუხის გაცემა კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ შეტანილ წინადადებაზე, რასაც, როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, უკანასკნელ დროს მხარს უჭერს ზოგიერთი გაზეთი, აგრეთვე მთელი რიგი გამოჩენილი რესპუბლიკელები. რუზველტმა გაიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ მას განზრახვა აქვს მიიწვიოს მთავრობაში მთელი რიგი ახალი პირები.

შემდეგ, უპასუხა რა საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ხელმძღვანელის ლიუისის მიერ ამას წინათ გაკეთებულ განცხადებას იმის შესახებ, რომ მას განზრახვა აქვს დაიწყოს საავიაციო მრეწველობის მუშათა გაერთიანება პროფკავშირში, რუზველტმა სთქვა, რომ პროფკავშირებში მუშათა გაერთიანება წარმოადგენს „ლეგალურ საქმეს და რომ ამასთან დაკავშირებით იგი არ მოელის გაფიცვებს". შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს წინადადებით მიჰმართოს კონგრესს (წარმომადგენელთა პალატას), რათა ის ორგანოები, რომლებიც იმიგრაციასა და ნატურალიზაციას განაგებენ, შრომის სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს გადაეცეს. ფიქრობენ, რომ ეს მოასწავებს უცხოელებისადმი უფრო მკაცრი კონტროლის დაწესებას.

* * *

ვაშინგტონი, 22 მაისი (საკდესი). ჰუვერმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს კოალიციური მთავრობის შექმნას. მაგრამ, — სთქვა ჰუვერმა, — ასეთი კოალიციის შექმნა პარტიული ბრძოლის შეწყვეტას არ უნდა მოასწავებდესო.

კანონ-პროექტი ინგლისის მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მიცემის შესახებ

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს თემთა პალატაში პალატის ლიდერის მოადგილემ ეტლიმ განაცხადა, რომ მთავრობას ორივე პალატაში შეაქვს განსახილველად კანონ-პროექტი მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მიცემის შესახებ.

ახალი კანონ-პროექტის თანახმად, როგორც აღნიშნა ეტლიმ, მთავრობას უფლება ექნება განსაზღვროს ხელფასის რაოდენობა და შრომის პირობები, გამოიკვლიოს საწარმოები, მოსთხოვოს მეწარმეთ ანგარიში გასაცნობად და ხელში აიღოს მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები. კონტროლი დაწესებული იქნება არა მარტო მრეწველობაზე, არამედ ბანკებზედაც. შრომის მინისტრი პასუხისმგებელი იქნება მთელი სამხედრო მრეწველობის მუშახელით უზრუნველყოფისათვის. შესაძლოა აუცილებელი გახდეს, რომ დროებით გაუქმდეს მრეწველობაში მუშებსა და მეწარმეთა შორის დადებული ხელშეკრულებანი. ახალი კანონ-პროექტით მთავრობას უფლება ენიჭება დააწესოს კონტროლი ყველა მოქალაქეზე და მის საკუთრებაზე და „განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, ომის ეფექტიური წარმოებისათვის და სახელმწიფოს საწარმოო აპარატის ნორმალური მოქმედებისათვის".

კამათის დროს მთავრობისათვის ამ რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ გამოვიდა მუშათა დამოუკიდებელი პარტიის წევრი მექსტონი და კომუნისტი გალაჰერი. ლეიბორისტმა კირკვუდმა განაცხადა: „რამდენადაც მესმის, ამ კანონ-პროექტით მთავრობას განზრახული აქვს ხელ-ფეხი შეუკრას მუშათა კლასს, მაშინ, როდესაც მესაკუთრეთა კლასი თავისუფლებას ინარჩუნებს".

კანონ-პროექტი მიღებული იქნა ორივე პალატის მიერ.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ლონდონი, 21 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, საფრანგეთის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კამბრესა და პერონს შორის, აგრეთვე კამბრეს აღმოსავლეთით გააფთრებული ბრძოლაა. მდგომარეობა ამ რაიონში გამოურკვეველია.

გერმანიის ჯარის მოქმედებას კამბრესა და სომს შორის, აგრეთვე პერონის რაიონში, სადაც ყველაზე უფრო მედგარი ბრძოლა სწარმოებს, მოსამზადებელი ხასიათი აქვს.

დასასრულ, სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: „გერმანიის მოპიკირე ყუმბარმშენები თავს ესხმიან ჩვენი კომუნიკაციის ხაზებს, სადგურებს, რკინის გზის კვანძებს, სანაპირო ნავსადგურებს, აგრეთვე მონაწილეობს იღებენ ბრძოლებში. ინგლის-საფრანგეთის ავიაცია თავს დაესხა მტრის კოლონებს ზურგში, სენ-კანტენის მახლობლად. განადგურებულია გერმანიის მრავალი სატვირთო ავტომანქანა. გუშინდელი დღის განმავლობაში გერმანელებმა მრავალი ტანკი და საბარგო ავტომანქანა დაჰკარგეს".

ჩერჩილი პარიზს გაემგზავრა

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ინგლისის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი სამხედრო, საზღვაო და საავიაციო მრჩევლების თანხლებით პარიზს ჩავიდა, სადაც ესაუბრა რეინოსა და გენერალ ვეიგანს. დღეს საღამოსვე ჩერჩილი ლონდონს დაბრუნდა.

კანადის ნაციონალური თავდაცვის მინისტრის განცხადება

ლონდონი, 22 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, კანადის ნაციონალური თავდაცვის მინისტრ როჯერსის განცხადების თანახმად, ინგლისში ეს-ეს არის ჩავიდა კანადის ჯარის მეორე რაზმი. რაზმი შესდგება რამდენიმე მაშველი ჯარის ნაწილებისაგან, აგრეთვე კანადის იმ პირველი დივიზიის მაშველი ნაწილებისაგან, რომელიც წინათ გაიგზავნა.

ცნობაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ, კანადის პრემიერ-მინისტრ კინგის განცხადების თანახმად, კანადას განზრახვა აქვს 120 მილიონი დოლარი დახარჯოს სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობისათვის. ამჟამად შენდება 90 გემი.

ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სიტყვა

პარიზი, 22 მაისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ბელგიის იუსტიციის მინისტრმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჟანსონმა გუშინ საღამოს ბელგიის ტერიტორიაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც გადაცემული იყო რადიოთი. ჟანსონმა განაცხადა, რომ ბელგიამ მიიღო „მაშველი ძალები მეგობარი სახელმწიფოებისაგან, და ბელგიის არმია მოკავშირეებთან ერთად განაგრძობს ბრძოლას". ჟანსონის სიტყვით „ბელგიის მთავრობა პიერლოს მეთაურობით ბელგიაში იმყოფება".

ფიზკულტურელი ქალები ლ. წერეთელი, ი. წერეთელი, მ. გოკიელი და თ. ჯორდელაძე.
ფოტო თ. ფურცელაძის.

გაჭირვების მარყუჟში

ხანგრძლივმა უმუშევრობამ, შიმშილმა და გაჭირვებამ ბურჟუაზიული ქვეყნების ახალგაზრდობა სასოწარკვეთილების წინაშე დააყენა. ხვალინდელი დღისადმი რწმენის უქონლობა, შიმშილის შიში ლანდივით დასდევს გაჭირვებულ ადამიანებს, რომელნიც ლუკმა პურისათვის ბრძოლაში ყოველგვარ დამცირებას განიცდიან. უმუშევრობითა და შიმშილით სასოწარკვეთილებამდე მისული ზოგიერთნი ბანდიტობენ, ეწევიან ქურდობას, შეიარაღებულ თავდასხმებს, ფულის გამოძალვის მიზნით ბავშვების მოტაცებას. მეორენი კი—გამბედაობითა და სიცოცხლით ვაჭრობენ. ახალგაზრდობის ეს კატეგორია სიცოცხლისათვის საშიშ ტრიუკებს ასრულებს, ამით ართობს მშრომელთა ექსპლოატაციით გამდიდრებულ ბურჟუებს, და თავგანწირვით მიღებული გროშებით ირჩენს თავს. ბურჟუაზიულ პრესაში ხშირად იბეჭდება ახალ-ახალი სენსაციური ცნობები ყირამალა მოგორავე ავტომობილებისა, მოხტუნავე მოტოციკლეტებისა, კრივის მატჩის შესახებ ადამიანსა და კენგურუს შორის.

რადიოს, ტელეგრაფსა და ტელეფონს მოაქვს ცნობები მოცურავის შესახებ, რომელიც ცხენით გადახტა წყალში 90 ფუტის სიმაღლიდან, აქებენ ლეგენდარულ მორბენალს, რომელიც სირბილში ცხენს ეჯიბრებოდა და გაიმარჯვა, ადიდებენ თავზეხელაღებულ ახალგაზრდობას, რომელმაც 60 კილომეტრი ყირამალა კოტრიალით დაფარა.

მშრომელთა ექსპლოატაციითა და სისხლით გაუმაძღარ ბურჟუაზიას მოსწყინდა ჩვეულებრივი სასპორტო სანახაობა, უსაქმობით განებივრებულთ ახლა სხვა სანახაობა აინტერესებთ. ის პირი, რომელიც თავისი რეკორდით სენსაციას შექმნის, ცოტაოდენი შემოსავლის ღირსი ხდება. ამის გამო რეკორდების დამყარების მიზნით ბევრი სულელური და სიცოცხლისათვის საშიში შეჯიბრება იმართება.

განებივრებული ბურჟუები ინტერესით ეტანებიან გაწვრთნილი ძაღლებისაგან შემდგარი „ფეხბურთელთა გუნდების" სასაცილო შეჯიბრებას, ბაყაყების დოღს, მამლებისა და ყოჩების ჩხუბს, ადამიანისა და მწევარი ძაღლის სირბილში შეჯიბრებას.

ერთხანს ბურჟუაზიული გაზეთები განუწყვეტლივ აქვეყნებდნენ მოცეკვავეთა ხანგრძლივობაზე გამართული კონკურსის შედეგებს. ერთერთი მათგანი სამი დღეღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. ბევრი მაყურებელი დაესწრო სილის გამრტყმელთა კონკურსს. უკანასკნელი შეჯიბრება იმაში გამოიხატებოდა, რომ ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მდგომი ახალგაზრდა ერთმანეთს მაგარი სილით უმასპინძლდებოდა. იმარჯვებდა ის, ვინც უფრო გამძლე იყო.

ამერიკულმა პრესამ კარგად გაახმაურა ფანჯრების მთლელთა შეჯიბრება. ამ „მსოფლიო პირველობის გათამაშებაში" ასზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა— „დაძაბული ბრძოლის შემდეგ" — სწერს გაზეთი — გამარჯვებული გამოვიდა ბანკის 22 წლის მოხელე უილიამ ოკონორი, რომელმაც 10 წუთის განმავლობაში 61 ფანჯარი გათალა, რისთვისაც მას მიენიჭა მსოფლიო ფალავნის სახელი.

ნიაგარა მსოფლიოში ყველაზე დიდი ჩანჩქერია. ბევრმა სცადა ამ ჩანჩქერში სანაძლეოზე ჩახტომა, მაგრამ ჩანჩქერიდან ცოცხალი არავინ ამოსულა. გაჭირვებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ამერიკელმა ახალგაზრდამ ლიუსიმ ხელშეკრულება დაუდო ერთ კინო ფირმას ჩანჩქერში გადახტომაზე. ლიუსი ჩაჯდა ჰაერით გაბერილ სპეციალურად მოწყობილ ბურთის მაგვარ ტომარაში და წყალში გადახტა. თავზე ხელაღებული ახალგაზრდა ჩანჩქერის წყლიდან „ცოტათი" დაზიანებული, მაგრამ ცოცხალი ამოიყვანეს. ამ გაბედულ ნახტომს 100.000 მეტი მაყურებელი დაესწრო. კინოფილმმა კარგი შემოსავალი მიიღო, ტრიუკის შემსრულებელმა კი რამდენიმე თვის სარჩო.

ნორჩი ფიზკულტურელი ბორის სუხიშვილი საბავშვო მოტოციკლეტზე.
ფოტო სტოლიაროვისა.

რეკორდმანიამ საზღვარგარეთ უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ბევრი ცდილობს თავი მსოფლიო ფალავნად გამოაცხადოს, რისთვისაც სხვადასხვა უცნაურობას სჩადის. ამერიკელი ჰარინგტონი ენერგიულად მოითხოვდა მისთვის მსოფლიო ფალავნის სახელწოდების მინიჭებას. მისი მტკიცებით მან 10 წლის განმავლობაში 100.000-ჯერ დაახველა და მსოფლიოში დახველების რაოდენობაში მას მეტოქე არა ჰყავს.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალისტურ უკუღმართობაში მოქცეული უმუშევარი ახალგაზრდები „მსოფლიო რეკორდებს" ზოგჯერ უნებლიეთაც კი ამყარებენ. ერთ დიდი ხნით უმუშევარ ახალგაზრდა ინჟინერს აცნობეს, რომ მოშორებულ ქალაქში მდიდარ მოხელეს მსახური ესაჭიროება. ახალგაზრდა ინჟინერს სამგზავრო ფული არ გააჩნდა. გადასწყვიტა შეპარულიყო თვითმფრინავში, რომელიც იმ შორეულ ქალაქს მიემგზავრებოდა. ერთხანს თვითმფრინავში შეპარული ახალგაზრდა უმუშევარი ვერავინ შეამჩნია, მაგრამ შემდეგში გაბედული ახალგაზრდა აღმოაჩინეს და რასაკვირველია ჰკითხეს, მისი მგზავრობის მიზნების შესახებ. ახალგაზრდამ განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო თვითმფრინავზე უნებართვოდ, უბილეთოდ და შეუმჩნევლად მგზავრობის რეკორდის დამყარება.

აჰ სხვა რა ეთქმოდა საცოდავს.

ასეთი განხრით ვითარდება სპორტი საზღვარგარეთ.

კაპიტალისტურ სინამდვილეში სპორტი უპირველესად გართობის მიზნებს ემსახურება. „სპორტი—სპორტისათვის" ასეთია ბურჟუაზიის მიერ წამოსროლილი ლოზუნგი. ამის გამო მშრომელთა მასები, რომელნიც ფიზიკურ კულტურაში ხედავენ მშრომელთა დარაზმვისა და მომავალ კლასთა ბრძოლებისათვის მომზადების ერთერთ საშუალებას, მოკლებულნი არიან ფიზიკური კულტურით ვარჯიშობის უფლებას. ბურჟუაზიამ დაარღვია და განადგურება დაუპირა მუშათა სასპორტო ორგანიზაციებს. ბურჟუაზიას ეშინია მუშათა დარაზმულობის, იგი ეწინააღმდეგება მუშათა სასპორტო ორგანიზაციების შექმნას, ამის გამო საზღვარგარეთ ფიზიკური კულტურა მშრომელთა ფართო მასებში ვერ პოულობს მასობრივ გამოყენებას.

თ. ფურცელაძე.

26 მაისს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც მიძღვნილია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ორგანიზაციის 15 წლის თავისადმი.

სხდომის შემდეგ შესდგება კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შესვლა მოსაწვევებით.

საქ. მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭო.

უმაღლესი სკოლების და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის პლენუმი

25 მაისს, საღამოს 7 საათზე, შრომის სასახლის სხდომათა დარბაზში (შესასვლელი გრიბოედოვის ქუჩიდან) მოწვეულია უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მეორე პლენუმი.

პლენუმის დღისწესრიგშია: სსრკ სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და მეცნიერ მუშაკთა ამოცანები. მომხსენებელი პროფ. ნ. კეცხოველი.

მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ბათუმის ბოტანიკურ ბაღში. მომხსენებლებად გამოვლენ ადგილკომების თავმჯდომარეები.

ბოლოს, პლენუმი განიხილავს მიმდინარე საკითხებს.

მწერალთა კლუბში

25 მაისს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კრიტიკოსთა სექცია აწყობს დისპუტს თემაზე:

პოეტ კონსტანტინე ჭიჭინაძის შემოქმედება. მომხსენებელი ამხ. ვანო წულუკიძე.

დისპუტში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან მწერლები და მკითხველები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

200 მოტოციკლისტი

კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის სოციალისტური შეჯიბრებით დადებულ ხელშეკრულებაში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვალდებულება აიღო სექტემბრამდე მომზადოს 200 მოტოციკლისტი. ამას წინათ მოხდა მოტოციკლისტთა პირველი წრის გამოშვება რომელშიც მეცადინეობდა 24 სტუდენტი, მათ შორის ორი ქალია.

მოკლე ხანში მუშაობას დაამთავრებენ მოტოციკლისტთა დანარჩენი წრეები.

ი. სავაძე.

დღეს სტადიონზე

დღეს ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „კრილია სოვეტოვ" საჩვენებელ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

გასულ წელს ფეხბურთელთა გუნდი „კრილია სოვეტოვ" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების „ბ" ჯგუფში გამოდიოდა და პირველობა მოიპოვა. მიმდინარე წელს გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა. ახლა ის საჩვენებელ ფეხბურთელთა გუნდების პირველ ჯგუფში მონაწილეობს კარგი მაჩვენებლებით. მან პირველსავე შეჯიბრებაზე დაამარცხა ცნობილი გუნდი „მეტალურგი", ანგარიშით 5:0.

მატჩი დაიწყება დღის 5 საათზე.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

25 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში რუსულ ენაზე შესდგება ლექცია თემაზე: — „ლენინ-სტალინის მოძღვრება ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ოქტომბერი** — „მშვენიერი ვასილისა", **დამკვრელი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **კომკავშირელი** — „კენდლიარ", **ლუქსემბურგის სახ.** — „კენდლიარ", **26 კომ. სახ.** — „სოროჩინის ბაზრობა", **კომინტერნი** — „უკანასკნელი ნავსადგური" (ესკადრის დაღუპვა), **ახალი ამბები** — „როზა და რაფაელი", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „სამშობლო".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

24 მაისი | ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი | 24 მაისი

სრულიად საქართველოს ფიზკულტურის დღისადმი მიძღვნილი

სეირნობა

ცეკვა-თამაში სპეციალურ მოედანზე

ღია ესტრადაზე ხალხური გუნდები, ცეკვა, საზანდარი, დუდუკი, ბაიანები. დასაწყისი საღ. 9 ს.

დიდ ესტრადაზე [illegible] ა. ფ[illegible]ის ხელმძღვანელობით და [illegible] ვ. კო[illegible] ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღ. 9 ს.

ფიზკულტურელთა ბალი ცოცხალი ყვავილები, კონფეტი, სერპანტინი და სხვ.

საცირკო სამაერო აქტი ს. რუდიფი

საპარაშუტო კოშკი, ტირი და სხვ. პარკის ატრაქციონები

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი
(ფუნიკულორის პლატო)

24 მაისი

ხუმრობისა და სიცილის საღამო

კონცერტში მონაწ. ვასო გოძიაშვილი (რესპ. დამს. არტ.), ელ. სიბილა, შ. ჯაფარიძე (რესპ. დამს. არტ.), პ. ჭიჭინაძე, ალ. რამიშვილი და სხვ.
კონფერანსიე პიერ კობახიძე (რესპ. დამს. არტ.).

მთავარი შენობის ვესტიბულში გამოფენის გახსნა: ძველი ქართული ხალხური სანახაობანი (შესვლა თავისუფალია)

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 2 ივნისს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) აუდიტორია № 93 ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **სოკრატ ივანეს-ძე ძიძისტარიშვილი** დაიცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკა საქართველოში და ქართული ეროვნული საგანმანათლებლო დაწესებულებანი".**

ოფიციალური ოპონენტები: ისტ. მეც. კანდიდატი დოც. ი. ზ. ცინცაძე.
ისტ. მეც. კანდიდატი დოც. ა. ი. კიკვიძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.

80

დეიდა ეკატერინე, ბიძა ანტონ, დეიდაშვილები ხუხა, ლუტუ, ბიჭიკო მუზითიძეები, სიძე კაკო ნადარეიშვილი იუწყებიან

ქუცა (ვანიჩკა) ქემერტელიძის

გარდაცვალებას. 6484

საქ. შინსახკომის მეორე სპეცგანყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ლუბა ნათაძეს მისი დის

ანა ნათაძის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 25/V 5 ს. ბრძოლის, 25. 6486

ცოლი მარიამ, დები ეკატერინე, მარიამ, ძმა ნიკოლოზ ოჯახებით და სიძეებით იუწყებიან

ალექსანდრე ელიზბარის-ძე შანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 26/V 4 ს. გამოსვენება გოგებაშვილის, 22. 6480

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრე ასლანიკაშვილის მამის

თედორეს

გარდაცვალებას. 6475

ძმები ვასო, ბესარიონ, ლადო სირბილაძეები ოჯახებით იუწყებიან

სევერიან გიორგის-ძე სირბილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25/V ქ. ქუთაისში, საკირის, 35. 6485

შვილები სოსო, არჩილ, ელენე ქმარშვილით, ვახტანგ, რძალი ვერა, შვილიშვილები აეთანდილ, მალხაზ იუწყებიან

სიმონ მახარეს-ძე გურგენიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. თელავში. 6476

ბიძა ალე გვიჩია ცოლშვილით, მამიდა ცირუ თოფურია შვილებით, მამიდაშვილები გოგუცა, უენია გიგინეიშვილები ქმარშვილით, ვალოდია გიგინეიშვილი ცოლშვილით იუწყებიან

ბახუ ანდრიას-ძე გვიჩიას

გარდაცვალებას. 6431

დ. გაბელია ცოლით ნინოთი, შვილებით თამაზით, მარეხით და ბელათი, სიდედრი ქეთო ელენტი იუწყებიან აღმზრდელის

ბახუ გვიჩიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24/V ქ. ფოთში. 6483

შვილი ისაკი, რძალი თამარ, ძმა სანდრო, შვილიშვილები ვალიკო, ანატოლი, იუწყებიან

ეფემია გრიგოლის-ასულ ბაქუზაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 24/V 4 ს. პანასევიჩის, 26. 6478

თბილისის საბჭოს ჯანგანყოფილების საბავშვო სახლის ადმინისტრაცია და ადგილკომი იუწყებიან ამავე სახლის ექიმ სალომე კუციას მამის

ალექსის

გარდაცვალებას ქ. ფოთში. 6474

ცოლი ელიკო შვილებით, ძმა ფილიპე, დები მარო, თამარ, ვენერა იუწყებიან, რომ 24/V 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

ზაქარია ყარამანის-ძე სხირტლაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6482

დედა ტერეზია, დები ელენე, ქეთო, ძმები ირაკლი, ალექსი ბათიაშვილები ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული, ორდენოსანი მასწავლებლის

ნინო დიმიტრის-ასულ კორინთელის

გარდაცვალებას. გამოსვენება 25/V 5 ს. ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან (კამოს ქ. № 103) მასწავლებლის სახლში, პანაშვიდი საღ. 8 ს.

მშობლები გალაქტიონ, ნატა, ძმები მიტუშა, ანდრო ცოლშვილით, დები ჟენია, მარგარიტა იუწყებიან, რომ 27/V 5 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია

ჯიბო (შალვა) გალაქტიონის-ძე შვილდაძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6329

მე-19 სკოლის პედკოლექტივი იუწყება ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის დიმიტრი გედევანიშვილის მამის

კონსტანტინე გედევანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა გრემისხევში (დუშეთის რ.). 6472

მეუღლე ლიზა, შვილი ალექსანდრე, რძალი თამარ, შვილიშვილი ნოდარ ასლანიკაშვილები იუწყებიან

თედორე პეტრეს-ძე ასლანიკაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25/V 7 ს. გამოსვენება 26/V 5 ს. გლდანის, 19 კუკიის სასაფლაოზე. 6473

ნათესავები ვარა დორეული შვილებით და შვილიშვილით, მაშო ადუაშვილი ქმარშვილით, ანა ბროძელი ქმარშვილით, თამარ ბროძელი იუწყებიან

თედორე პეტრეს-ძე ასლანიკაშვილის

გარდაცვალებას. 6473

დოც. ვ. მ. გურგენიძე მეუღლით თამარით და შვილებით გურამით და რევაზით, ექიმი ბ. მ. გურგენიძე მეუღლით თამარით და ნ. მ. გურგენიძე იუწყებიან

სიმონ მახარის-ძე გურგენიძის

გარდაცვალებას ქ. თელავში. 6479

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81 65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმუნებული ა—1422